პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის
1920 წლის
3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 188 (20529) ◆ სამშაბათი, 15 აგვისტო, 1989 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

დღის ნომერში:

⊙ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კანონი „სსრ კავშირში მოსამართლეთა სტატუსის შესახებ“.

მე-2 გვ.

⊙ გასული წელი შეჯამდა დამაიმედებელი მონაცემებით, რომლებიც ახასიათებს საქართველოში სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის მდგომარეობას. მაგრამ მომდევნო ექვსმა თვემ ამ მაჩვენებლებს კვლავ ნეგატიური დაღი დაასვა. ასეთი არასასურველი ცვალებადობის მიზეზები გულმოდგინედ გააანალიზეს პროკურატურის კოლეგიის გაფართოებულ სხდომაზე (**„სიმართლის პირისპირ“**).

⊙ მკითხველისათვის წარმოდგენილი დოკუმენტები ალებულია საქართველოს დემოკრატიული მთავრობის არქივიდან, რომელიც ინახება ჰარვარდის (აშშ) უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში. ესენია ლადო ახმეტელის — ბერლინში ნოე ჟორდანიას მთავრობის წარმომადგენლის ორი წერილი ნოე ჟორდანიასადმი და ნ. ჟორდანიას წერილი აკაკი ჩხენკელისადმი, რომელიც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დესპანი იყო ევროპაში (**„სამი [illegible] წლების საქართველო[illegible]“**).

მე-3 გვ.

⊙ ბატონო პიუიტ! თავი გაგვანებეთ, საქართველოს მტერი არ აკლია, ხოლო თქვენ არა ხართ საქართველოში სამოყვროდ ჩამოსული! (**„ყველამ თავის სამშობლოს მოუაროს!“**).

⊙ ლომბარდი — სკოლაში, სკოლა — ფაბრიკაში?

მე-4 გვ.

[illegible] ბიბლიოთეკა

რესპუბლიკის ეკონომიკური დამოუკიდებლობისათვის

გვჭირდება ერთობლივი ძალისხმევა

ამბობენ „ანალიზხელსაწყოს“ სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების პარტიული კომიტეტის წევრები

როგორ სწრაფად იცვლება ამჟამად თვალსაზრისი. სიტყვა „გარდაქმნამ“ ჩვენს ლექსიკონში მტკიცე ადგილი დაიმკვიდრა, საქმით მოიპოვა პოპულარობა. გარდაქმნა ახლა ჩვენი ცხოვრების ყველა მხარეს შეეხო, თუმცა ნელა, გაუბედავად, მაგრამ მაინც მიიკვლევს იგი გზას. ამ მხრივ, გამონაკლისად შეიძლება ჩაითვალოს დედაქალაქის ერთ-ერთი მოწინავე სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების „ანალიზხელსაწყოს“ პარტიული კომიტეტის საქმიანობა. აქ სისტემატურად მრავალი სიახლე იბადება და ხორციელდება.

მაგალითად, პარტიულ კომიტეტში დამკვიდრდა დევიზი: „ნაკლები ქაღალდთმთხზველობა, მეტი კონკრეტული საქმეები“. სამეცნიერო-საწარმოო საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლებისა და კოლექტივის ხუთიათასიანი მშრომელის სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ზრუნვა ძირითად ამოცანად იქცა. ამ მთავარ მიზანს ემსახურება „საქართველოს სსრ ეროვნული განვითარებისა და პოლიტიკური კონცეფციის შემუშავების საბჭო“, რომელიც პარტიული კომიტეტის ინიციატივით შეიქმნა. მას გაერთიანების ხელმძღვანელობამაც დაუჭირა მხარი.

რა პრინციპით წარმართავს საბჭო მუშაობას? აი, პირველი კითხვა, რომლითაც გაერთიანების პარტიული კომიტეტის მდივანს, აღნიშნული საბჭოს თავმჯდომარეს, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატს, თამაზ ძაგანიას მივმართეთ. მან თქვა:

— ხანგრძლივი მიძიების შემდეგ, ჩვენში ერთბაშად წამოიწია წინა პლანზე ეროვნული განვითარების კონცეფციამ. იგი თავისთავად მრავალ საკითხს მოიცავს. ამ კონცეფციის განხორციელების საფუძველი სწორედ ძირეულ კოლექტივებში უნდა ჩაეყაროს, საამისოდ განსაკუთრებით მოწოდებულია ჩვენი გაერთიანების კოლექტივი, სადაც სამეცნიერო მუშაობა და წარმოების პროცესები ერთიან კომპლექსში წყდება.

ფართო და გულდასმითი მუშაობის, განსჯის შედეგად გადავწყვიტეთ საბჭოში შეგვექმნა ხუთი ავტორიტეტული სამუშაო კომისია. მათში შევიყვანეთ კომპეტენტური მეცნიერები და სპეციალისტები, წარმოების ნოვატორები. მაგალითად, სამეცნიერო-ტექნიკური და ეკონომიკური განვითარების სამუშაო ჯგუფს გაერთიანების გენერალური დირექტორი, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ზაურ ყრუაშვილი ხელმძღვანელობს, საკადრო-დემოგრაფიული და ეროვნებათშორისი ურთიერთობის კომისიას — ლაბორატორიის გამგე გოგი მეტრეველი. ქართულენოვან წარმოებაზე გადასასვლელ კომისიას დიდი ენთუზიაზმით ჩაუდგა სათავეში ერთ-ერთი განყოფილების გამგე გურამ ჩიჩუა, ხოლო ეკოლოგიურ კომისიას — გენერალური დირექტორის მოადგილე მეცნიერების დარგში, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ვლადიმერ დოლიძე. მოქმედებს აგრეთვე ახალგაზრდა შემოქმედ ინიციატორთა კომისია, რომელსაც განყოფილების გამგის მოადგილე ლიანა დათეშაშვილი უძღვება.

საბჭო და კომისიები ერთხელ კიდევ გულდაჯერებით ამუშავებენ თავიანთ სამოქმედო პროგრამას, გულდასმით განიხილავენ ყველა შემოსულ წინადადებას, რომელთა საფუძველზე იქმნება საბოლოო დოკუმენტი. საამისოდ პარტიულ კომიტეტში სისტემატურად იკრიბებიან, წინადადებათა განხილვისას მიუღებელია საკითხის ნაჩქარევად გადაწყვეტა მისი ეკონომიკური და პოლიტიკური მნიშვნელობის შეფასების გარეშე. ამას იმიტომ ითვალისწინებენ, რომ საწარმოში ახლა ყველამ იცის, თუ რა ავბედითი გამხდარა წინათ ნაუცბათევად მიღებული თითოეული გადაწყვეტილება, როგორ რისხვად დატეხია იგი შემდგომში კოლექტივს. ახლა შეცდომების დრო აღარ არის, მეცნიერთა წრე და შრომითი კოლექტივი მას არავის აპატიებს, რადგან იგი პირდაპირ ახდენს გავლენას შინ და გარეთ მათს მდგომარეობაზე. საკითხების განხილვამდე ეწყობა სოციოლოგიური გამოკვლევები და გამოკითხვები. სოციოლოგები აქ შტატში ჰყავთ და მათ ლეილა ოპანესიანი უძღვება. პარტიული კომიტეტი, საამქროთა და უბნების პარტიული ორგანიზაციები, პარტიული ჯგუფები ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ რაც შეიძლება მეტმა ადამიანმა მიიღოს მონაწილეობა სამოქმედო პროგრამის შედგენაში, რათა იგი იყოს კოლექტიური სიბრძნის ნაყოფი.

ახლახან მოიწვიეს პარტიული კომიტეტის გაფართოებული სხდომა, რომელსაც ესწრებოდნენ აგრეთვე ადმინისტრაციის, შრომითი კოლექტივების საბჭოების წევრები, ახალგაზრდობის, სხვადასხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები. გაფართოებულ სხდომაზე ფართო დემოკრატიის საფუძველზე იმსჯელეს ეროვნული განვითარებისა და პოლიტიკური კონსოლიდაციის კონცეფციის დამუშავების პირველ ნაბიჯებზე, მომავლის პერსპექტივებზე. სხდომის მონაწილეებს სათქმელი საკმაოდ ჰქონდათ.

აფხაზეთში განვითარებულმა ტრაგიკულმა მოვლენებმა სულით ხორცამდე შეძრა გაერთიანების კოლექტივი. თავიანთი აღშფოთება მათ გამოხატეს აქ გამართულ მიტინგზე. მიიღეს მიმართვა რესპუბლიკის ხელმძღვანელობისადმი, სადაც მოითხოვეს, მკაცრად იქნას დასჯილნი იმ აფხაზი ექსტრემისტების ჯგუფი, რომლებმაც მოახდინეს უდანაშაულო ადამიანების სისხლისღვრა. მანამდე კოლექტივმა აჭარელთა სატკივარიც გაითავისა და უხვი საჩუქრებით ესტუმრნენ ჯავახეთში ჩამოსახლებულ ლტოლვილებს. მათ ტანსაცმელთან და საკვებ პროდუქტებთან ერთად კოშკურა ამწეც მიართვეს საცხოვრებელი სახლების მშენებლობის დასაჩქარებლად. მათთვის ათეულ ათასობით მანეთი გადარიცხეს დაზარალებულთა ფონდში. საერთოდ, ეს სახელოვანი კოლექტივი აქტიურად მონაწილეობს ყველა საქველმოქმედო საქმეში.

განსაკუთრებით აღსანიშნავია მათი ღვაწლი დემოგრაფიულ ფონდში. ახალგაზრდა შემოქმედ ინიციატორთა კომისიამ თავის სამოქმედო პროგრამაში ერთ-ერთ მუხლად ასეთი საინტერესო რამ შეიტანა: შეიქმნა სპეციალური დახმარების ფონდი ახალგაზრდა ოჯახებისათვის: პირველ დაბადებულ ბავშვზე (ცხადია, კოლექტივის წევრმა) დედამ ჯილდოდ მი-

(დასასრული მე-2 გვ.).

ჩაი-89

ეს დღეები პლანტაციებში

წალენჯიხის რაიონის სოფელ ეწრის კოლმეურნეობა-კომბინატის ჩაის პლანტაციების დიდი ნაწილი მობილური მექანიზაციით იკრიფება, მაგრამ არც ხელით კრეფაა უარყოფილი. სოფლის ახალგაზრდები და ახლახან აქ ხულოს რაიონიდან ჩამოსახლებული აჭარელთა 28 ოჯახის წევრები ინტენსიურად კრეფენ უხვად შემოსული მეორე ვეგეტაციის ფოთოლს.

კოლმეურნეობა-კომბინატის კოლექტივის ერთსულოვანი გადაწყვეტილებაა ჩაის კრეფის წლიური დავალება სექტემბრის პირველი ნახევრისათვის შეასრულონ და მოკრეფილი ნედლეულის ხარისხიც საგრძნობლად გააუმჯობესონ.

◆

სურათზე: კოლმეურნეობა-კომბინატის ახალგაზრდა მეჩაიე მზია ჩხეტიანი, რომელიც თანატოლებთან ერთად ყოველდღიურად 50-60 კილოგრამ ხარისხიან ნედლეულს აბარებს მიმღებ პუნქტს.

არჩილ ყუფუნიას ფოტო.

მშენებელთა დამფუძნებელი ყრილობა

თბილისში გაიმართა რესპუბლიკის მშენებელთა კავშირის დამფუძნებელი ყრილობა. მისი შექმნა ნაკარნახევია მწვავე პრობლემებით, უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე რომ დაგროვდა დარგში და დაუყოვნებელ გადაჭრას მოითხოვს.

ახლადშექმნილი კავშირის მიზანი და ამოცანებია რესპუბლიკის მშენებელთა მოქმედების გაერთიანება და კოორდინირება სამშენებლო სამუშაოთა წარმოების ობიექტური სამეცნიერო და პრაქტიკულად შემოწმებული მეთოდებისა და ხერხების საფუძველზე. დღის წესრიგში იდგა აგრეთვე მშენებლის ავტორიტეტის გადიდების, მისთვის დამოუკიდებლად მოქმედების უფლების მინიჭების საკითხი. როგორც სინამდვილემ გვიჩვენა, დღეისათვის არსებული შემმოწმებელთა უზარმაზარი არმია ყოველთვის როდი წარმართავს მათ მუშაობას საჭირო კალაპოტით. ეს გახდა მთელი კომპლექსის ახლანდელი მძიმე მდგომარეობის ერთ-ერთი მიზეზი.

საქართველოს მშენებელთა კავშირის პრეზიდენტად არჩეულია თენგიზ ჟორჟოლიანი, რესპუბლიკის სახაგრომრეწვის გაერთიანება საქაგრომშენის უფროსის მოადგილე.

(საქინფორმი).

საკვებწარმოება — დამკვრელური უბანი

ზამთარი მკაცრად მოგვკითხავს

ახალციხელმა, ადიგენელმა და ასპინძელმა საკვებმომპოვებლებმა მუშაობა უნდა გააუმჯობესონ

მესხეთ-ჯავახეთის რეგიონის სამ რაიონში — ახალციხეში, ადიგენსა და ასპინძაში ახლა პირუტყვის საკვების დამზადების გახურებული კამპანიაა. წლევანდელი მშრალი ამინდი ხანგრძლივი გვალვის გამო, ბუნებრივი და ნათესი ბალახები აქ კარგად ვერ განვითარდა. ამიტომ ჩანს, რომ ამ რაიონებში ასორტიმენტის მიხედვით საკვების დამზადების გეგმებს ვერ შეასრულებენ, რაც, ცხადია, მეცხოველეობის პროდუქტიულობაზეც უარყოფითად იმოქმედებს.

ადიგენის რაიონის მეცხოველეებს 22 ათასი ტონა უხეში და 7200 ტონა წვნიანი საკვები დაჭირდებათ პირუტყვის ნორმალურად გამოზამთრებისათვის. მაგრამ ამჟამინდელი მდგომარეობით მათ 4 ათასი ტონა უხეში და 3200 ტონა წვნიანი საკვები დააკლდებათ. თუ დანარჩენ უხეშ საკვებს იყიდიან, ეს რძისა და ხორცის წარმოების თვითღირებულებას გაზრდის, ხოლო წვნიანი საკვების ნაკლებობა უარყოფითად იმოქმედებს პროდუქტიულობაზე, უპირველესად კი რძის წარმოებაზე.

რაიონში დღეისათვის 6000 ტონა სენაჟია დამზადებული. ეს თითქოს ცოტა არ არის, მაგრამ მთავარი მარტო რაოდენობა კი არა, ხარისხია. ამას ვერ დაიკვეხნიან ადიგენის საბჭოთა მეურნეობაში (დირექტორი — სერგო მერაბიშვილი). ყართაუბნის მერძეული პირუტყვის ფერმის ეზო მინგრეულ-მონგრეულია, შესასვლელი კი ტალახიანი. ეს თავისთავად ნიშნავს, რომ როდესაც მანქანებს სასენაჟე მასა ორმოზე მიაქვთ, თან ტალახიც შეაქვთ და სენაჟის ხარისხი ფუჭდება.

ბოლაჯურის კოლმეურნეობის მერძეული პირუტყვის ფერმაშიც (თავმჯდომარე — სიმონ ზაზაშვილი) ირღვევა სენაჟის ჩადების ტექნოლოგიური ციკლი. აქ ჩადებული მასა გადამხმარია და სენაჟად აშკარად არ ვარგა. დატკეპნილიც არ არის კარგად, აქაიქ ორმოებია. წვიმა რომ მოვიდეს და წყალი ჩადგეს, მთელ ორმოს დაალპობს. რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანების ხელმძღვანელობამ, მთავარმა სპეციალისტებმა და უშუალოდ საკვებდამამზადებლებმაც ხარისხს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ.

ასპინძის რაიონში სახალხო მეურნეობის დარგებიდან მთავარია მეცხოველეობა და შემოსავლის მნიშვნელოვანი ნაწილიც აქედან მოდის. და მით უფრო ცუდია, რომ იგი წლების განმავლობაში ჩამორჩება. მაგალითად, აქ შარშანაც საგეგმოსთან შედარებით ნაკლები რძე აწარმოეს. თითოეული ფურიდან 1300 კილოგრამი რძის ჩამოწველა ვერაფერი სახახელო გეგმაა, მაგრამ ასპინძელებმა ისიც ვერ შეასრულეს და მხოლოდ 1157 კილოგრამი ჩამოწველეს. მაშინ როდესაც რესპუბლიკაში თითოეული ფურიდან საშუალოდ 1935 კილოგრამი რძეა მიღებული.

ასპინძელებმა ასევე გათვალისწინებულზე 233 ცენტნერით ნაკლები ხორცი აწარმოეს. ამისი ძირითადი მიზეზი ის გახლავთ, რომ ჩაბარებული პირუტყვის საშუალო წონამ მხოლოდ 213 კილოგრამი შეადგინა, მაშინ როდესაც შესაბამისი რესპუბლიკური მაჩვენებელი 265 კილოგრამია.

არც წლევანდელ განვლილ პერიოდშია კარგი მაჩვენებლები რძისა და ხორცის წარმოების საქმეში, გაძვირებულია ამ პროდუქციის თვითღირებულება.

რაიონში 1989-1990 წლებში გამოიზამთრებს 9000 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი და 25000 სული ცხვარი. საამისოდ რაიონის ტერიტორიაზე უნდა დამზადდეს 8000 ტონა თივა. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ დღეისათვის დამზადებულია მხოლოდ 100 ტონაზე ოდნავ მეტი (შარშან ამ დროს 200 ტონა თივა ჰქონდათ დაზვინული), თვალსაჩინო ხდება, რომ ასპინძელი საკვებმომპოვებლები ამ დავალებას ვერ შეასრულებენ.

სენაჟი უნდა დამზადდეს 6000 ტონა. აქედან სადღეისოდ ორმოებში ჩადებულია მხოლოდ 2500 ტონა საკვები, აქაც ძალიან გაჭირდება დავალების შესრულება. სხვათა შორის, შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით, წლეულს 760 ტონით ნაკლები სენაჟია ჩადებული. საერთოდ, წინასწარი მონაცემებით, საკვების დამზადების გეგმა რაიონში არ შესრულდება. მეცხოველეობის ფერმებს დააკლდება 6500 ტონა თივა, 2500 ტონა სენაჟი, 1300 ტონა ნამჯა, 3500 ტონა სილოსი.

და ასეთ კრიტიკულ ვითარებაშიც საკვების დამზადებას ხეირიანად ჯერაც არ შესდგომიან ოთის, საყუდაბლის, ხერთვისის, ხიზაბავრის კოლმეურნეობები (თავმჯდომარეები — ვალერიან ბუჩუკური, მერაბ ნარიმანიძე, როლანდ ნარიმანიძე, ვახტანგ ველიჯანაშვილი) და ნიალის საბჭოთა მეურნეობა (დირექტორი — იაკობ ხუციშვილი).

ამის შემდეგ, აბა, სხვა რაღა უნდა ვიფიქროთ, გარდა იმისა, რომ ასპინძის რაიონის საზოგადოებრივი მეურნეობების პირუტყვს ამ ზამთარს ძალიან გაუჭირდება და, შესაბამისად, რძეც და ხორციც ნაკლები იქნება.

ახალციხის რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებში წლეულს 15000 სული მსხვილფეხა პირუტყვი და 12600 სული ცხვარი უნდა გამოაზამთრონ.

როგორ პირობებს ქმნიან საამისოდ აქაური საკვებმომპოვებლები და, საერთოდ, როგორი რეპუტაცია აქვთ რაიონის მეცხოველეებს?

შარშანდელი მაჩვენებლებით, ცხადია, რომ კვლავ ძვირი უჯდებათ მეცხოველეობის პროდუქცია. კერძოდ, დაგეგმილზე 62,49 მანეთით ძვირი უჯდებათ ყოველი ცენტნერი საქონლის ხორცი, ხოლო რძე — 4,56 მანეთით მეტი. გაძვირებულია ცხვრის ხორციც.

დასასრულ იმასღა ვიტყვით, რომ ახალციხელ, ადიგენელ და ასპინძელ მეცხოველეებს ზამთარი ფრიად მკაცრ გამოცდას უმზადებს და, თუ მდგომარეობის გამოსწორებისათვის ამთავითვე ჯეროვნად არ იზრუნეს, გაუჭირდებათ წარმატებების მოპოვება.

ჯემალ ქურხული,
ელგუჯა კოპაძე,
„კომუნისტის“ სპეციალური კორესპონდენტები.

სოციალური სფერო

როცა მონდომებაა

ორგანიზაცია, რომელზეც ამ კორესპონდენციაში მინდა ვილაპარაკო, სამეურნეო ანგარიშზე მუშაობს და სტაბილური შედეგებით გამოირჩევა. მისი მიღწევები იმდენად საგრძნობია, რომ შარშან ქვეყნის მონათესავე ორგანიზაციებს შორის საუკეთესო ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებისთვის პირველი ადგილი დაისაკუთრა და სხვებისათვის მისაბაძი გახდა.

ლაპარაკია ჭიათურის ავტოსატრანსპორტო გაერთიანებაზე, რომლის კოლექტივი წლეულსაც ყველაფერს ღონობს მოწინავე პოზიციების შენარჩუნებისათვის.

მიუხედავად ამისა, კორესპონდენციის დაწერის აუცილებლობა მიკარნახა არა სუფთა საწარმოო შედეგებმა, არამედ გაერთიანების ცხოვრების მეორე მხარემ, სოციალური საკითხების მოგვარებისათვის დიდმა ზრუნვამ. თუმცა, დამაჯერებელი საწარმოო შედეგები რომ არა, რას შეძლებდნენ ამ მეორე მხარის წინა პლანზე წამოწევას. საერთოდ, ვამბობ, მეორე-მეთქი, თორემ რა არის ახლა სოციალურ სფეროზე მთავარი, მით უმეტეს, როცა საქმე ეხება ხალხის სურსათით უზრუნველყოფას.

პარტიის აგრარული პოლიტიკა, — განაცხადა გაერთიანების გენერალურმა დირექტორმა ჯუმბერ ხარაიშვილმა, — რომელიც სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა შეიმუშავა, ცხოვრების დღევანდელ ეტაპზე ყველას საზრუნავია, უამისოდ წინ ვერ წავალთ და ეს ყოველმა ჩვენგანმა შეიგნო. ის, თუ რამდენად საჭირბოროტო პრობლემაა ახლა მშრომელთა სურსათით რაც შეიძლება სწრაფი დაკმაყოფილება, გარკვევით ითქვა სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობაზე და გაგრძელდა ლაპარაკი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პირველ სესიაზე.

იმის თაობაზე, თუ მარტის პლენუმის გადაწყვეტილებათა პერსპექტიული განხორციელებისათვის რა დაისახეს ავტოტრანსპორტელებმა, ცოტა ქვემოთ მოგახსენებთ. ჯერ კი ყურადღებას გავამახვილებთ იმაზე, რაც უკვე გაკეთდა. სასურსათო პროგრამის რეალიზაციისათვის მიმდინარე ხუთწლედი ავტოტრანსპორტელებმა დამკვრელურად გამოაცხადეს. არა, ამისათვის გაერთიანების ტერიტორიაზე ლოზუნგები და ტრანსპარანტები არ გამოუკრავთ, უბრალოდ, შეიკრიბნენ, იმსჯელეს, დინჯად აწონ-დაწონეს საკუთარი შესაძლებლობანი და დაუყოვნებლივ დაიწყეს. იყო ძალიან ცოტა ლაპარაკი და ბევრი საქმე.

დიდი საქმე პატარით იწყება. ამიტომ, თავდაპირველად, სამიოდე წლის წინ ოთხ ჰექტარზე მოაწყვეს დამხმარე მეურნეობა. ამავე წელს 0,5 ჰექტარ ფართობზე 100 ცენტნერი ბოსტნეული მოიწიეს, მომდევნო წლებში კი პამიდვრის მოსავალი, მაგალითად, გაორკეცდა. უკვე ორი წელია გაერთიანების საზოგადოებრივი კვების ობიექტის მეშვეობით მთლიანად კმაყოფილდება ბოსტნეულით 1700 მუშა-მოსამსახურე. შეიძინეს 140 ფუტკრის ოჯახი და უკვე 1986 წელს აწარმოვეს 1200 კილოგრამი თაფლი. მიუხედავად არახელსაყრელი კლიმატური პირობებისა, არც შარშანწინ და შარშან მოუწევიათ თაფლის ნაკლები მოსავალი.

ჩემი თვალით ვნახე სტანდარტების დონის შესაბამისი 50 ძროხისათვის ნავარაუდევი ბოსელი, ფერმა, რომელშიც ჯიშიანი ღორები ჰყავთ უამრავი ნამატით, 9 ათასი ფრთისთვის გათვალისწინებული საფრინველე, 45 ათასი კვერცხის ტევადობის ინკუბატორი. შარშან ტონა ღორისა და 10,5 ტონა ფრინველის ხორცი მიიღეს, მთლიანად უზრუნველყვეს გაერთიანების კვების ობიექტი და ნამეტი საკოლმეურნეო ბაზარზეც გაიტანეს.

წლეულს 15 ტონა ღორის ხორცის, 1,5 ტონა თაფლისა და 2 ტონა ბოსტნეულის წარმოებას, აგრეთვე 30 ათასი ქათამის გაზრდას ვარაუდობენ. შეუსრულდებათ ჩანაფიქრი? აუცილებლად, წლის პირველი ნახევრის შედეგები მეტყველებს, რომ ჩანაფიქრი 150 პროცენტით განხორციელდება.

სამომავლოდ? გეგმები დიდი დაისახეს და მუშაობაც ფართო ფრონტით გაშალეს. გადაწყვეტილი აქვთ მაქსიმალურად დააკმაყოფილონ გაერთიანების კოლექტივი ყოველგვარი სურსათით. ათი წლის ვადით აიღეს იჯარით კოლმეურნეობისაგან დამხმარე მეურნეობის მიმდებარე ტერიტორიის 50 ჰექტარი სახნავ-საძოვარი. ამ ტერიტორიაზე მემცენარეობის პროდუქტებს მოიწევენ და პირუტყვსაც გამოკვებავენ, პროდუქტების სარეალიზაციოდ აქვე, ახლო-მახლო მაღაზიას აგებენ დიდი ტევადობის მაცივრით. გაერთიანების მუშა-მოსამსახურეები წლის ნებისმიერ დროს შეძლებენ მათთვის სასურველი სურსათის შეძენას. ყველაფერი ეს სულ ორ-სამ წელიწადში განხორციელდება.

მეცამეტე ხუთწლედის განმავლობაში მეურნეობა კვლავ მკვეთრად გაიზრდება. შეძლებენ აწარმოონ გაცილებით მეტი ხორცი და ბოსტნეული. დამხმარე მეურნეობის მახლობლად შენდება სანატორიუმ-პროფილაქტორიუმი, სადაც ერთდროულად გაერთიანების 100 მუშა-მოსამსახურე დაისვენებს. სანატორიუმი ავტოსაწარმოს საბაგირო გზით დაუკავშირდება. სანატორიუმს, ცხადია, დამხმარე მეურნეობაში მოწეული პროდუქციით უზრუნველყოფენ.

დიახ, სოციალური საკითხების მოგვარებაზე რომ იფიქრო, საამისო გუნება-განწყობილება უნდა გქონდეს. თუ თავს ვერ ართმევ საწარმოო მაჩვენებლების შესრულებას, დამხმარე მეურნეობის მოვლისა და განვითარებისათვის დრო აღარ დაგრჩება. ამიტომ, აქ ყველაფერს ღონობენ მინდობილი საქმის კეთილსინდისიერი შესრულებისათვის.

წლის განვლილ პერიოდში გადაზიდულია ნავარაუდევზე საგრძნობლად მეტი სახალხო-სამეურნეო ტვირთი, გადაჭარბებით შესრულდა ტვირთბრუნვის დავალება. იცავენ სახელშეკრულებო დისციპლინას, გაერთიანებას არ დაუღალატებია არც ერთი სამინისტრო და უწყება. ეს კი ახლებური მუშაობის ერთ-ერთი უმთავრესი პირობაა. ყველაფერ ამას, ცხადია, ხელს უწყობს ავტომობილების პარკისა და ტონაჟის კოეფიციენტის მაქსიმალური გამოყენება, მრავალი სხვა ფაქტორი. გათვალისწინებულთან შედარებით მგზავრებიც საგრძნობლად მეტია გადაყვანილი. აღემატება გეგმას შემოსავლის რაოდენობაც, დაცულია თანაფარდობა შრომის ნაყოფიერებისა და ხელფასის ზრდას შორის.

მიუხედავად დიდი ძალისხმევისა, აღინიშნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XV პლენუმზე, ხორცის საშუალო სულადობრივი მოხმარება რესპუბლიკაში მხოლოდ 47 კილოგრამს შეადგენს და არსებითად ჩამორჩება რეკომენდებულ ფიზიოლოგიურ ნორმებს. ჩვენში ასევე ნორმაზე ნაკლები მოიხმარება რძე და მისი პროდუქტები, კვერცხი, თევზეული, კარტოფილი, მცენარეული ზეთი და ა. შ. მაშასადამე, არსებითად ყველა ძირითადი სასურსათო პროდუქტი. ბუნებრივია ყოველივე ეს გავლენას ახდენს საკოლმეურნეო ბაზრის ფასებზე, რაც ეკონომიკაში და, კერძოდ, სოფლის მეურნეობაში შექმნილი ვითარების რეალური სარკეა. ბაზრის კანონები ობიექტურია და მეტისმეტად დიდ ფასებს შეიძლება მხოლოდ იმით ვებრძოლოთ, რომ დღენიადაგ ვზრდიდეთ უმნიშვნელოვანესი სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოებას.

ეს ეხება არა მარტო სოფელს, არამედ ყველას. ამჟამად, პრაქტიკულად, რესპუბლიკის ყველა დიდ და საშუალო საწარმოს, მით უმეტეს გაერთიანებას აქვს დამხმარე მეურნეობა, და დასანანია, რომ ბევრი მათგანი ვერ დაიკვეხნის კარგ მოსავალს, თორემ მდგომარეობა მნიშვნელოვნად შემსუბუქდებოდა!

ჭიათურის ავტოსატრანსპორტო გაერთიანების მუშაობა ამ მხრივ ცხადყოფს, რომ საქმისადმი საგულდაგულო მიდგომით შეუძლებელი არაფერია. თუ ყველა ერთნაირი მონდომებით მოვკიდებთ ხელს სურსათით საკუთარი კოლექტივების უზრუნველყოფას, უთუოდ მივაღწევთ სასურველ შედეგებს.

შოთა ამაშუკელი.

მოვლენათა ქრონიკა

დაწინაურდნენ ლენინგორელები

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პირუტყვი ახლა ძირითადად საზაფხულო იალაღებზეა. ყუათიანმა საძოვრებმა, კამკამა წყაროებმა და პირუტყვისათვის სათუთმა ზრუნვამ კეთილი გავლენა იქონია წველადობის ზრდაზე. 12 აგვისტოსათვის ყოველ ფურზე საშუალოდ მიღებულია 750 კილოგრამი რძე — 60 კილოგრამით მეტი, ვიდრე გასული წლის შესაბამის პერიოდში.

წველადობის გადიდებისათვის შრომით მეტოქეობაში პირველი ადგილი დაისაკუთრეს ლენინგორის რაიონის მშრომელებმა. მათ თითოეული საფურაჟე ძროხის წველადობა 881 კილოგრამამდე გაზარდეს. შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით თითოეული ფურის წველადობა დაახლოებით 70 კილოგრამით გადიდდა.

▼▼

იმრიალოს ტყეებმა

საქართველოს სსრ ბუნების დაცვისა და სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის სამეცნიერო საბჭოს გაფართოებულ სხდომაზე, რომელიც ახმეტის რაიონის სოფელ ომალოში მოეწყო, გაიმართა საქმიანი საუბარი იმის შესახებ, რომ უწყების ტყეები ერთ პატრონს გადაეცეს. ეს მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ფლორისა და ფაუნის აღორძინებას.

სხდომის მონაწილეებმა ერთხმად მოიწონეს ეს გადაწყვეტილება. შემდეგ მათ დაათვალიერეს აღორძინებული თუშეთის სოფლები, ისაუბრეს დემოგრაფიულ საკითხებზე.

მენეჯერთა სკოლა

სულ მალე ქუთაისში, პოლიტიკური განათლების სახლის ბაზაზე მუშაობას შეუდგება მენეჯერთა სკოლა. საორგანიზაციო საკითხთა გადასაწყვეტად აქ ჩამოვიდნენ მოსკოვის მენეჯერთა სკოლის კომერციული ინჟინერი იგორ კუზნეცოვი, აგრეთვე სხვა სპეციალისტები.

— ჩვენი პროგრამა, — თქვა ი. კუზნეცოვმა, — ემყარება ამერიკული სისტემის მენეჯერთა საუკეთესო სკოლების გამოცდილებას. იგი ითვალისწინებს ახალგაზრდა კადრების მომზადებას ეკონომიკის, ფსიქოლოგიის, იურისპრუდენციის, იდეოლოგიური მუშაობის, კომპიუტერული მართვის ხელოვნების დარგში. სკოლაში ასწავლიან როგორც საბჭოთა, ისე ამერიკელი სპეციალისტები.

▼▼

ამთავითვე ემზადებიან ზამთრისათვის

ხარაგოულის რკინიგზის სადგურის მუშებმა პირნათლად გაუძლეს ზამთრის სტიქიის გამოცდას. აი ახლაც, ამთავითვე ემზადებიან მომავალი ზამთრისათვის. უკვე დამთავრდა ავტობლოკირების ხაზების გაყვანა, ვადამდე განხორციელდა მისი მონტაჟი მეორე ლიანდაგისათვის ზესტაფონ-შორაპნის გადასარბენზე.

▼▼

თქვენს ბინას დაამშვენებს

ახალი სახეობის პროდუქცია შემატა სახალხო მოხმარების საქონლის ნუსხას, რომელსაც გარდაბნის სამონტაჟო ნამზადების ქარხანა უშვებს. მოსახლეობის შეკვეთით აქ დაიწყეს კოხტა და გამძლე ფანჯრის ჩარჩოებისა და აივნის კარებების დამზადება. მათი გარენაწილი ალუმინისაა, ხოლო შიდა ზედაპირი ძვირფასი სახეობის ხის მერქნით არის მოპირკეთებული, ამასთან რეზინის სამჭიდროებლებისა და სქელი მინების შერწყმით კონსტრუქცია ხმაურისა და ტენის შეუვალობის გარანტიას იძლევა.

▼▼

პლასტმასის... ნახევარგამტარები

ქართველ მეცნიერთა ნამუშევარი წარმოდგენილი იქნება თურქეთში იზმირის საერთაშორისო გამოფენაზე. დიდი ელექტროგამტარობისა და ნახევარგამტარის თვისებების მქონე ახალი სახეობის პოლიმერული კომპოზიციური მასალა — ასე ეწოდება ელექტროგამტარ რეზინს, რომელიც შეიმუშავეს საქართველოს ენერგეტიკისა და ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში. სიახლის თავისებურება, რომელიც ხელსაყრელად გამოირჩევა მისი მსგავსი დენგამტარი პლასტმასებისაგან, არის ელექტრულ თვისებათა ერთგვაროვნება საფარის ნებისმიერ წერტილში. ეს საიმედოდ იცავს საფარს ტემპერატურათა სხვაობისა და მოყინვისაგან. გარდა ამისა, მასალას ახასიათებს დიდი წყალშეუღწევადობა, არ განიცდის კოროზიას, ხელმისაწვდომი და პლასტიკურია. ახალი მასალა როგორც ანტისტატიკი შეიძლება გამოვიყენოთ ყველგან, სადაც საჭიროა ელექტრული მუხტის მოხსნა ყოფა-ცხოვრებაში, საავტომობილო მრეწველობაში, მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზების დამონტაჟებისა და ექსპლოატაციის დროს. ელექტროგამტარი რეზინის ნიმუშები გამოსცადეს იტალიის ერთ-ერთ ფირმაში, რომელიც კმაყოფილი დარჩა შედეგებით. (საქინფორმი).

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კანონი

სსრ კავშირში მოსამართლეთა სტატუსის შესახებ

კარი I

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. მოსამართლენი და სახალხო მსაჯულნი

1. მოსამართლეებსა და სახალხო მსაჯულებს წარმოადგენენ სსრ კავშირის მოქალაქენი, რომლებიც დადგენილი წესით არიან არჩეულნი სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოში, მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლეს სასამართლოებში, ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს სასამართლოებში, სამხარეო, საოლქო, საქალაქო სასამართლოებში, ავტონომიური ოლქების სასამართლოებში, ავტონომიური ოკრუგების სასამართლოებში, რაიონულ (ქალაქის) სახალხო სასამართლოებში. აგრეთვე სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების სამხედრო ტრიბუნალებში.

2. მოსამართლენი და სახალხო მსაჯულნი პასუხისმგებელნი არიან მათი ამრჩევი ორგანოების ან ამომრჩევლების წინაშე და ანგარიშს აბარებენ მათ.

3. სახალხო მსაჯულნი მართლმსაჯულების განხორციელებისას სარგებლობენ მოსამართლის ყველა უფლებით.

მუხლი 2. მოსამართლეებისა და სახალხო მსაჯულებისათვის წაყენებული მოთხოვნები

მოსამართლენი და სახალხო მსაჯულნი განუხრელად უნდა იცავდნენ საბჭოთა კანონებს, იყენებდნენ თავიანთ ცოდნასა და გამოცდილებას სასამართლოზე დაკისრებული ამოცანების შესასრულებლად, იყვნენ თავიანთი საპატიო წოდების ღირსნი.

კარი II

მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა დამოუკიდებლობის ძირითადი გარანტიები

მუხლი 3. მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა დამოუკიდებლობა

1. მოსამართლენი და სახალხო მსაჯულნი დამოუკიდებელნი არიან და ემორჩილებიან მხოლოდ კანონს.

2. მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა დამოუკიდებლობას უზრუნველყოფს მათი არჩევისა და განთავისუფლების კანონით დადგენილი წესი, მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა ხელშეუხებლობა, მართლმსაჯულების განხორციელების მკაცრი იურიდიული პროცედურა, გადაწყვეტილების გამოტანისას მოსამართლეთა თათბირის საიდუმლო და მისი გამხელის მოთხოვნის აკრძალვა, პასუხისმგებლობა სასამართლოს მიმართ უპატივცემლობისათვის ან ჩარევა კონკრეტულ საქმეთა გადაწყვეტაში, საჭირო ორგანიზაციულ-ტექნიკური პირობების შექმნა სასამართლოების საქმიანობისათვის, აგრეთვე მოსამართლეთა მაღალი სტატუსის შესაფერისი მატერიალური და სოციალური უზრუნველყოფა.

მუხლი 4. პასუხისმგებლობა სასამართლოს უპატივცემლობისათვის

საქმის მონაწილე პირთა ან სასამართლო სხდომის დამსწრე მოქალაქეთა მხრივ სასამართლოს მიმართ უპატივცემლობის გამოვლენა, აგრეთვე ვისიმე მიერ ისეთი მოქმედების ჩადენა, რომელიც სასამართლოსადმი აშკარა უგულებელყოფას მოწმობს, იწვევს პასუხისმგებლობას სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 5. სასამართლო საქმეების გადაწყვეტაში ჩარევის დაუშვებლობა

1. მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა მართლმსაჯულების განხორციელების საქმიანობაში ჩარევა აკრძალულია.

2. კონკრეტული საქმის ყოველმხრივი, სრული და ობიექტური განხილვის დაბრკოლების ან უკანონო სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანის მიღწევის მიზნით მოსამართლეებზე ან სახალხო მსაჯულებზე ზემოქმედება, რა ფორმითაც უნდა მოხდეს იგი, იწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის შესაბამისად.

3. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს არა აქვთ უფლება იწინასწარმეტყველონ თავიანთ ცნობებში კონკრეტული საქმის სასამართლო გარჩევის შედეგები ან სხვაგვარად მოახდინონ ზემოქმედება სასამართლოზე, სანამ გადაწყვეტილება ან განაჩენი კანონის ძალას შეიძენდეს.

მუხლი 6. მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა ხელშეუხებლობა

1. მოსამართლე, აგრეთვე სახალხო მსაჯული სასამართლოში მის მიერ მოვალეობის შესრულებისას არ შეიძლება მიცემულ იქნეს სისხლის სამართლის პასუხისგებაში ან დაპატიმრებულ იქნეს თუ თანხმობას არ განაცხადებს:

მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო, ხოლო სესიებს შორის პერიოდში — მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი — სახალხო მოსამართლეების, სამხარეო, საოლქო, საქალაქო სასამართლოების, ავტონომიური ოლქების სასამართლოების, ავტონომიური ოკრუგების სასამართლოების, ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების, მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს მოსამართლეთა, აგრეთვე ამ სასამართლოების სახალხო მსაჯულთა მიმართ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო, ხოლო სესიებს შორის პერიოდში — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი — სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს და სამხედრო ტრიბუნალების მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა მიმართ.

2. რაიონული (ქალაქის) სახალხო სასამართლოს სახალხო მოსამართლის ან სახალხო მსაჯულის მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრა შეუძლია მხოლოდ მოკავშირე რესპუბლიკის პროკურორს ან სსრ კავშირის გენერალურ პროკურორს, ხოლო მოკავშირე რესპუბლიკების სხვა სასამართლოებისა და სსრ კავშირის სასამართლოების მოსამართლეთა ან სახალხო მსაჯულთა მიმართ — მხოლოდ სსრ კავშირის გენერალურ პროკურორს. სამხედრო ტრიბუნალების მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრა დაიშვება მხოლოდ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თანხმობით, რაიონული (ქალაქის) სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულთა მიმართ — სახალხო დეპუტატთა ზემდგომი საბჭოს პრეზიდიუმის თანხმობით, ყველა სხვა მოსამართლისა და სახალხო მსაჯულის მიმართ — მათი ამრჩევი სახალხო დეპუტატთა საბჭოს თანხმობით, ხოლო სესიებს შორის პერიოდში — შესაბამისი საბჭოს პრეზიდიუმის თანხმობით. ამავდროულად წყდება მოსამართლის უფლებამოსილების შეჩერების საკითხი. გამოძიებისადმი ზედამხედველობას ახორციელებს საქმის აღმძვრელი პროკურორი.

3. სისხლის სამართლის საქმეები რაიონული (ქალაქის) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა მიმართ განსჯადია მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების მიერ, ხოლო მოკავშირე რესპუბლიკების სხვა სასამართლოებისა და სსრ კავშირის სასამართლოების მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა მიმართ — სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს მიერ.

4. არ დაიშვება დაკავება, მიყვანა ან ადმინისტრაციული სახდელის ღონისძიებათა გამოყენება მოსამართლის მიმართ, აგრეთვე სახალხო მსაჯულის მიმართ, როდესაც იგი ასრულებს მოვალეობას სასამართლოში.

მუხლი 7. სახალხო მსაჯულთა შრომითი უფლებების გარანტიები

სახალხო მსაჯულთა დათხოვნა მათი უფლებამოსილების პერიოდში ადმინისტრაციის ინიციატივით ან დისციპლინური სახდელის წესით მათი გადაყვანა ნაკლებხელფასიან სამუშაოზე დაიშვება, ზოგადი წესის დაცვის გარდა, მხოლოდ სახალხო მსაჯულის ამრჩევი შრომითი კოლექტივის თანხმობით.

კარი III

მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა არჩევნები

მუხლი 8. მოსამართლეობისა და სახალხო მსაჯულობის კანდიდატებისათვის წაყენებული მოთხოვნები

1. სახალხო მოსამართლედ შეიძლება არჩეულ იქნეს სსრ კავშირის მოქალაქე, რომელსაც არჩევნების დღისათვის შეუსრულდება 25 წელი, აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება, სულ ცოტა ორი წლის იურიდიული სპეციალობით მუშაობის სტაჟი და ჩაბარებული აქვს საკვალიფიკაციო გამოცდა.

2. ზემდგომი სასამართლოების მოსამართლეებად შეიძლება არჩეულ იქნენ სსრ კავშირის მოქალაქენი, რომლებსაც აქვთ უმაღლესი იურიდიული განათლება და სულ ცოტა ხუთი წლის იურიდიული სპეციალობით მუშაობის სტაჟი, მათ შორის, როგორც წესი, მოსამართლედ მუშაობის სულ ცოტა ორი წლის სტაჟი.

3. სამხედრო ტრიბუნალის მოსამართლედ შეიძლება არჩეულ იქნეს სსრ კავშირის მოქალაქე, რომელსაც არჩევნების დღისათვის შეუსრულდა 25 წელი, არის ნამდვილ სამხედრო სამსახურში, აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება და ოფიცერთა შემადგენლობის სამხედრო წოდება. პირმა, რომელსაც პირველად ირჩევენ სამხედრო ტრიბუნალის მოსამართლედ, უნდა ჩააბაროს საკვალიფიკაციო გამოცდა.

4. სახალხო მსაჯულად შეიძლება არჩეულ იქნეს სსრ კავშირის მოქალაქე, რომელსაც არჩევნების დღისათვის შეუსრულდა 25 წელი, ხოლო სამხედრო ტრიბუნალის სახალხო მსაჯულად — ნამდვილ სამხედრო სამსახურში მყოფი სსრ კავშირის მოქალაქე.

მუხლი 9. მოსამართლეობის კანდიდატთა შერჩევა

1. მოსამართლეობის კანდიდატთა შერჩევას ახორციელებენ იუსტიციის ორგანოები ამ კანონის მოთხოვნების შესაბამისად იმ შრომითი კოლექტივების რეკომენდაციებისა და აზრის გათვალისწინების საფუძველზე, რომლებშიც მუშაობენ წამოყენებული კანდიდატები, და მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიის დასკვნის საფუძველზე.

2. მოსამართლეობის კანდიდატებად პირველად რეკომენდებული პირნი პროფესიულ მომზადებას გადიან იმ შემთხვევებში და წესით, რომლებსაც განსაზღვრავს სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტრო.

3. რაიონული (ქალაქის) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეობის, სამხარეო, საოლქო, საქალაქო სასამართლოების, ავტონომიური ოლქების სასამართლოების, ავტონომიური ოკრუგების სასამართლოების, ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების მოსამართლეობის კანდიდატთა წარდგენას ერთად აწარმოებენ მოკავშირე რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრო და უმაღლესი სასამართლო. მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების მოსამართლეობის კანდიდატთა წარდგენა ხდება მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით დადგენილი წესით, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოსა და სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროს აზრის გათვალისწინებით.

მუხლი 10. მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა არჩევნების წესი და უფლებამოსილების ვადები

1. რაიონული (ქალაქის) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეებს სამხარეო, საოლქო და საქალაქო სასამართლოების მოსამართლეებს ირჩევენ სახალხო დეპუტატთა შესაბამისი ზემდგომი საბჭოები.

2. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების, ავტონომიური ოლქებისა და ავტონომიური ოკრუგების სასამართლოების მოსამართლეებს ირჩევენ შესაბამისად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოები, ავტონომიური ოლქებისა და ავტონომიური ოკრუგების სახალხო დეპუტატთა საბჭოები.

3. რაიონული (ქალაქის) სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულებს ირჩევენ მოქალაქეთა კრებებზე მათი საცხოვრებელი ან სამუშაო ადგილის მიხედვით ღია კენჭისყრით, ხოლო ზემდგომი სასამართლოების სახალხო მსაჯულებს — სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საბჭოები.

4. სამხედრო ტრიბუნალების მოსამართლეებს ირჩევს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, ხოლო სახალხო მსაჯულებს — სამხედრო მოსამსახურეთა კრებები ღია კენჭისყრით.

5. ყველა სასამართლოს მოსამართლეებს ირჩევენ ათი წლის ვადით. ყველა სასამართლოს სახალხო მსაჯულებს ირჩევენ ხუთი წლის ვადით.

6. თუ მოსამართლეებსა და სახალხო მსაჯულებს უფლებამოსილების ვადა გაუდით მათ მიერ სასამართლო საქმის განხილვის პერიოდში, მაშინ უფლებამოსილება შეუნარჩუნდებათ ამ საქმის გარჩევის დამთავრებამდე.

7. სახალხო მსაჯულთა გაწვევა სასამართლოებში თავიანთი მოვალეობის შესასრულებლად ხდება რიგითობის წესით არა უმეტეს ორი კვირისა წელიწადში, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც ამ ვადის გაგრძელება აუცილებელია მათი მონაწილეობით დაწყებული სასამართლო საქმის განხილვის დამთავრების საჭიროებით.

მუხლი 11. მოსამართლისა და სახალხო მსაჯულის ფიცი

1. პირველად არჩეული მოსამართლენი და სახალხო მსაჯულნი დებენ ფიცს.

2. მოსამართლისა და სახალხო მსაჯულის ფიცის ტექსტს, აგრეთვე მისი დადების წესს სსრ კავშირის სასამართლოების მოსამართლეთათვის განსაზღვრავს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო, ხოლო მოკავშირე რესპუბლიკების სასამართლოთა მოსამართლეებისათვის — მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოები.

კარი IV

მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა უფლება-მოვალეობანი

მუხლი 12. მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა უფლებები

1. მოსამართლეებსა და სახალხო მსაჯულებს აქვთ მართლმსაჯულების განსახორციელებლად საჭირო ძალაუფლებრივი უფლებამოსილება. ამ უფლებამოსილებებს განსაზღვრავს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა.

2. მოსამართლეს აგრეთვე უფლება აქვს:

მოსთხოვოს თანამდებობის პირებსა და მოქალაქეებს შეასრულონ მისი განკარგულებანი, რომლებიც დაკავშირებულია მასზე კანონით დაკისრებულ მოვალეობათა განხორციელებასთან;

შეიტანოს სახელმწიფო ორგანოებში, საზოგადოებრივ ორგანიზაციებში და თანამდებობის პირებთან წარდგინებანი კანონის დარღვევების ან სამართალდარღვევათა ჩადენის ხელშემწყობი მიზეზებისა და პირობების აღმოფხვრის შესახებ;

გამოითხოვოს ინფორმაცია სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოების, სამეცნიერო დაწესებულებებისა და საინფორმაციო ცენტრებისაგან.

3. სახელმწიფო ორგანოები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები და თანამდებობის პირნი მოვალენი არიან შეასრულონ მოსამართლეთა მოთხოვნები და განკარგულებანი, რომლებიც დაკავშირებულია სასამართლო საქმიანობის განხორციელებასთან, დროულად უპასუხონ მათს წარდგინებებსა და მოთხოვნებს.

4. მოსამართლეს შეუძლია მოსამართლეთა კონფერენციის განსახილველად, აგრეთვე უშუალოდ სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოსა ან მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლოში შეიტანოს წინადადებანი კანონმდებლობის გამოყენების საკითხებზე სახელმძღვანელო ახსნა-განმარტების მიცემის შესახებ.

5. უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე სახალხო მსაჯულს შეუძლია შეცვალოს რაიონული (ქალაქის) სახალხო სასამართლოს სახალხო მოსამართლე მისი ხანგრძლივი არყოფნის შემთხვევებში.

მუხლი 13. მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა მოვალეობანი

1. მოსამართლენი და სახალხო მსაჯულნი სამოქალაქო, სისხლის სამართლის საქმეებისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვისას მოვალენი არიან ზუსტად შეასრულონ კანონების მოთხოვნები; უზრუნველყონ მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების, სახელისა და ღირსების, საზოგადოების ინტერესების დაცვა, სასამართლო საქმიანობის მაღალი კულტურა და აღმზრდელობითი ზემოქმედება, იყვნენ სამართლიანნი და ჰუმანურნი.

2. მოსამართლენი მოვალენი არიან აიმაღლონ პროფესიული ცოდნის დონე, შეისწავლონ და განაზოგადონ სასამართლო პრაქტიკა, მონაწილეობდნენ მუშაობაში მოქალაქეთა სამართლებრივი აღზრდისათვის.

3. მოსამართლენი და სახალხო მსაჯულნი სასამართლოში თავიანთ მოვალეობათა შესრულებისას, აგრეთვე არასამსახურებრივ ურთიერთობაში უნდა ერიდონ ყოველივეს, რამაც შეიძლება შებღალოს სოციალისტური მართლმსაჯულების ავტორიტეტი, საბჭოთა მოსამართლის ღირსება ან დააეჭვოს ვინმე მის ობიექტურობასა და პირუთვნელობაში.

4. სახალხო მსაჯულნი მოვალენი არიან ეუფლებოდნენ სამართლებრივ ცოდნას, ემზადონ ყოველი საქმის სასამართლო გარჩევისათვის, მონაწილეობდნენ სამართალდარღვევათა თავიდან აცილებისათვის მუშაობაში.

5. მოსამართლენი მოვალენი არიან წინასწარ გააცნონ სახალხო მსაჯულებს განსახილველი საქმეები, მოქმედი კანონმდებლობა და მისი გამოყენების პრაქტიკა, გაუწიონ სხვაგვარი დახმარება მათი უფლებამოსილების განხორციელებაში.

6. მოსამართლეებსა და სახალხო მსაჯულებს არა აქვთ უფლება გათქვან მოსამართლეთა თათბირის საიდუმლო და დახურული სასამართლო სხდომების მოწყობისას მიღებული ცნობები.

7. სახალხო მსაჯულნი მოვალენი არიან დროულად გამოცხადდნენ სასამართლოში მართლმსაჯულების განხორციელების ფუნქციების შესასრულებლად. სასამართლოში სახალხო მსაჯულის გამოძახება სავალდებულოა იმ საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციისათვის, სადაც მუშაობს ან სწავლობს სახალხო მსაჯული.

კარი V

მოსამართლეთა კონფერენციები. მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიები

მუხლი 14. მოსამართლეთა კონფერენციები

1. საოლქო დაყოფის არმქონე მოკავშირე რესპუბლიკის, ავტონომიური რესპუბლიკის, მხარის, ოლქის, ქალაქის, ავტონომიური ოლქის, ავტონომიური ოკრუგის სასამართლოთა მოსამართლეებს ყოველწლიურად იწვევენ კონფერენციებზე.

2. მოსამართლეთა კონფერენციები განიხილავენ სასამართლო პრაქტიკაში წამოჭრილ კანონმდებლობის გამოყენების საკითხებს, მიმართავენ სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოს ან მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლოს წინადადებებით სახელმძღვანელო ახსნა-განმარტების მიცემის შესახებ, ან საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარდგინებათა შეტანის შესახებ, ანდა კანონთა განმარტების შესახებ. ამ კანონის მე-15 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში კონფერენციები ირჩევენ მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიებს.

3. კონფერენციების მოწვევისა და მოწყობის წესს განსაზღვრავს მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა.

4. სამხედრო ტრიბუნალების მოსამართლეთა კონფერენციების მოწვევისა და მოწყობის, აგრეთვე ამ მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიების არჩევის წესს განსაზღვრავს სამხედრო ტრიბუნალების დებულება, რომელიც მტკიცდება სსრ კავშირის კანონით.

მუხლი 15. მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიები

1. მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიები იქმნება იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილ იქნეს სასამართლო სამუშაოზე ღირსეულ კანდიდატთა დასახელება და გაძლიერდეს მოსამართლეთა დამოუკიდებლობის გარანტიები.

2. მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიებს ავტონომიურ რესპუბლიკებში, მხარეებში, ოლქებში, ქალაქებში, ავტონომიურ ოლქებსა და ავტონომიურ ოკრუგებში ირჩევენ მოსამართლეთა კონფერენციები სახალხო მოსამართლეთა და შესაბამისი ზემდგომი სასამართლოების წევრთა რიცხვიდან. საოლქო დაყოფის არმქონე მოკავშირე რესპუბლიკებში მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიებს ირჩევენ მოსამართლეთა კონფერენციაზე სახალხო მოსამართლეთა და საქალაქო სასამართლოების წევრთა რიცხვიდან ამ სასამართლოების მოსამართლეები. სახალხო მოსამართლეები უნდა შეადგენდნენ კოლეგიის წევრთა სულ ცოტა ნახევარს.

3. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს და მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიებს ირჩევენ შესაბამისი სასამართლოების წევრთა რიცხვიდან ამ სასამართლოებიდან პლენუმები.

4. მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიის რაოდენობრივი შემადგენლობა განისაზღვრება მისი არჩევის დროს. სასამართლოების თავმჯდომარეები და მათი მოადგილეები, რაიონული (ქალაქის) სახალხო სასამართლოების თავმჯდომარეთა გამოკლებით, საკვალიფიკაციო კოლეგიების შემადგენლობაში არ შედიან.

5. მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიებს ირჩევენ ხუთი წლის ვადით. მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიები თავიანთი მუშაობის ანგარიშს აბარებენ მოსამართლეთა კონფერენციებს ან მათი ამრჩევი სასამართლოების პლენუმებს.

6. მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიების არჩევნების წესსა და საქმიანობის ორგანიზაციას განსაზღვრავს დებულებანი, რომლებსაც ამტკიცებენ შესაბამისად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო და მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოები.

მუხლი 16. საკვალიფიკაციო კოლეგიების უფლებამოსილება

1. მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიები:

აფასებენ სახალხო მოსამართლედ პირველად წამოყენებული ყოველი კანდიდატის მომზადებას სასამართლო მუშაობისათვის და უტარებენ საკვალიფიკაციო გამოცდას მოსამართლეობის კანდიდატს;

გამოაქვთ დასკვნა სახალხო მოსამართლეობის ან ზემდგომი სასამართლოს წევრობის კანდიდატის წამოყენების შესაძლებლობის შესახებ;

აწყობენ მოსამართლეთა საკვალიფიკაციო ატესტაციას;

გამოაქვთ დასკვნა მოსამართლის გაწვევის საკითხის გამო;

განიხილავენ მოსამართლის დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხს.

2. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოსა და მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების საკვალიფიკაციო კოლეგიები ამას გარდა განიხილავენ საჩივრებს ქვემდგომი საკვალიფიკაციო კოლეგიების გადაწყვეტილებებზე მოსამართლეთა გაწვევისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხთა გამო.

კარი VI

მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა გაწვევა და ვადამდე განთავისუფლება. მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობა

მუხლი 17. მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა გაწვევა და ვადამდე განთავისუფლება

1. მოსამართლეებსა და სახალხო მსაჯულებს შეიძლება ვადამდე ჩამოერთვათ უფლებამოსილება სოციალისტური კანონიერების დარღვევის ან სახელის გამტეხი საქციელის ჩადენისათვის, რომელიც შეუთავსებელია მათს საპატიო წოდებასთან, მხოლოდ და მხოლოდ მათი ამრჩევი ორგანოს ან ამომრჩეველთა გაწვევით, აგრეთვე მათს თაობაზე შემდგარი სასამართლოს საბრალდებო განაჩენის გამო, რომელმაც შეიძინა კანონის ძალა.

2. მოსამართლეები და სახალხო მსაჯულნი შეიძლება ვადამდე განთავისუფლდნენ დაკისრებულ მოვალეობათა შესრულებისაგან:

ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, რომელიც ხელს უშლის მუშაობის განგრძობას;

სხვა თანამდებობაზე არჩევის ან, მათი თანხმობით, სხვა სამუშაოზე გადაყვანის შედეგად;

საკუთარი სურვილით.

3. სსრ კავშირის სასამართლოებისა და მოკავშირე რესპუბლიკების სასამართლოების მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა გაწვევისა და ვადამდე განთავისუფლების წესს განსაზღვრავს შესაბამისად სსრ კავშირის კანონმდებლობა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა.

4. მოსამართლეთა გაწვევის საკითხი წყდება მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიისა და მოკავშირე რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს ან სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროს დასკვნების გათვალისწინებით.

მუხლი 18. მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობა

1. მოსამართლე შეიძლება მიეცეს დისციპლინურ პასუხისგებაში:

სასამართლო საქმეების განხილვისას კანონიერების დარღვევისათვის;

სხვა სამსახურებრივი გადაცდომისათვის;

სახელის გამტეხი საქციელისათვის.

2. დისციპლინურ პასუხისგებაში მოსამართლეთა მიცემის წესს ადგენს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა.

3. სასამართლო გადაწყვეტილების გაუქმება ან შეცვლა თავისთავად არ იწვევს ამ გადაწყვეტილების გამომტანი მონაწილე მოსამართლის პასუხისგებას, თუ ამასთან მას არ დაუშვია კანონის განზრახ დარღვევა ან არაკეთილსინდისიერება, რომელსაც მოჰყვა არსებითი შედეგები.

კარი VII

დასკვნითი დებულებანი

მუხლი 19. მოსამართლეთა საკვალიფიკაციო ატესტაცია

მოსამართლეები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ დადგენილი წესით გადიან ატესტაციას, რომლის შედეგების მიხედვით კვალიფიკაციისა და მუშაობის გამოცდილების გათვალისწინებით მათ ენიჭებათ საკვალიფიკაციო კლასები.

მუხლი 20. მოსამართლეთა მატერიალური და სოციალური უზრუნველყოფა

1. მოსამართლეებს ხელფასი უწესდებათ საკვალიფიკაციო ატესტაციის გათვალისწინებით. კვალიფიკაციისათვის მოსამართლეთა თანამდებობრივი სარგოს დანამატის დანიშვნის, აგრეთვე საპენსიო უზრუნველყოფის წესსა და ოდენობას ადგენს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა.

2. სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოები მოვალენი არიან არჩევიდან არა უგვიანეს ექვსი თვისა უზრუნველყონ მოსამართლე კეთილმოწყობილი საცხოვრებელი სადგომით ცალკე ბინის ან სახლის სახით.

მუხლი 21. მოსამართლეთა შეთავსებით მუშაობა

სხვა სახელმწიფო დაწესებულებებში, საწარმოებსა და ორგანიზაციებში, აგრეთვე კოოპერაციულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებში მოსამართლეთა მუშაობა შეთავსების პირობებით არ დაიშვება, გარდა პედაგოგიური და სამეცნიერო-კვლევითი მოღვაწეობისა.

მუხლი 22. სახალხო მსაჯულებისათვის ხელფასის, სხვა გასასახდელებისა და შეღავათების შენარჩუნება სასამართლოში მათ მიერ მოვალეობის შესრულების დროს

1. სახალხო მსაჯულებს სასამართლოში მოვალეობის შესრულების დროს ენახებათ საშუალო გამომუშავება მუდმივ სამუშაო ადგილზე.

2. სხვა გასასახდელებისა და შეღავათების მიმართ სახალხო მსაჯულთა მიერ სასამართლოში მოვალეობის შესრულების დრო გათანაბრებულია ძირითადი სამუშაოს შესრულების დროსთან.

3. სასამართლოში სახალხო მსაჯულთა მიერ მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესსა და ოდენობას ადგენს მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა.

მუხლი 23. სასამართლო ხელისუფლების სიმბოლოები. მოსამართლისა და სახალხო მსაჯულის მოწმობები

1. სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოში სასამართლო ხელისუფლების სიმბოლოს წარმოადგენს მოსამართლის მანტია, რომელზეც გამოსახულია სსრ კავშირის სახელმწიფო გერბი. მოკავშირე რესპუბლიკების სასამართლოებში სასამართლო ხელისუფლების სიმბოლოებს ადგენს მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა.

2. მოსამართლეებსა და სახალხო მსაჯულებს ეძლევათ მოწმობები, რომელთა ნიმუშებს ადგენენ:

მოკავშირე რესპუბლიკების სასამართლოებისათვის — მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმები;

სსრ კავშირის სასამართლოებისათვის — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე მ. გორბაჩოვი.

მოსკოვი, კრემლი. **1989 წლის 4 აგვისტო.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილება

„სსრ კავშირში მოსამართლეთა სტატუსის თაობაზე“ სსრ კავშირის კანონის სამოქმედოდ შემოღების წესის შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

მუხლი 1. შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ სსრ კავშირის კანონი „სსრ კავშირში მოსამართლეთა სტატუსის შესახებ“ 1989 წლის 1 დეკემბრიდან.

მუხლი 2. დაევალოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კანონმდებლობის, კანონიერებისა და მართლწესრიგის საკითხთა კომიტეტს შეიტანოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს განსახილველად წინადადებანი „სსრ კავშირში მოსამართლეთა სტატუსის შესახებ“ სსრ კავშირის კანონთან მოქმედი კანონმდებლობის შესატყვისების თაობაზე. ამ მიზნით საჭიროდ ჩაითვალოს მომზადდეს შემდეგი საკანონმდებლო აქტები:

სსრ კავშირის კანონი „სასამართლოსადმი უპატივცემლობისა და სასამართლო საქმეთა გადაწყვეტაში ჩარევისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“ (ამუშავებს სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლო 1989 წლის 1 ოქტომბრამდე ვადაში);

ახალი რედაქცია სსრ კავშირის კანონისა „სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს შესახებ“ (ამუშავებს სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლო 1990 წლის 1 იანვრამდე ვადაში);

სსრ კავშირის კანონი „სამხედრო ტრიბუნალების შესახებ“ (ამუშავებენ სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტრო და სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლო 1989 წლის 1 ოქტომბრამდე ვადაში);

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებანი „მოსამართლისა და სახალხო მსაჯულის ფიცის შესახებ“, „მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიების დებულების დამტკიცების შესახებ“, „მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის, მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა გაწვევისა და ვადამდე განთავისუფლების დებულების დამტკიცების შესახებ“, „მოსამართლეთა ატესტაციის შესახებ“ (ამუშავებენ სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტრო და სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლო 1989 წლის 1 ოქტომბრამდე ვადაში).

მუხლი 3. დაევალოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ორი თვის ვადაში გადაწყვიტოს საკითხი, რომ გაუმჯობესდეს სასამართლოების, პროკურატურისა და იუსტიციის მუშაკთა მატერიალური უზრუნველყოფა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს, სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროსა და სსრ კავშირის პროკურატურის მიერ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში წინათ შეტანილ წინადადებათა შესაბამისად, ამასთან განახორციელოს აღნიშნული ხარჯების დაფინანსება სახელმწიფო ბაჟის განაკვეთების მოწესრიგების გზით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე მ. გორბაჩოვი.

მოსკოვი, კრემლი. **1989 წლის 4 აგვისტო.**

გვჭირდება ერთობლივი ძალისხმევა

(დასასრული)

ილის 200 მანეთი, მეორე ბავშვზე — 400 მანეთი, მესამეზე — 600, ხოლო მეოთხე ბავშვზე — 1000 მანეთი. ეს ლიტონი სიტყვები როდია, ახლა ამ თანხებს აქ სისტემატურად აგროვებენ, მაგრამ მთავარი ის არის, რომ არავის სჭირდება შეხსენება, ამ დიდი ეროვნული და პატრიოტული საქმისათვის ყველა დაუშურებლად იღებს თავისი ალალი შრომის მცირე ნაწილს, რითაც საბოლოო ჯამში სოლიდური თანხა გროვდება.

ნაყოფიერ მუშაობას ეწევა ეკოლოგიური კომისია. საწარმომ თბილისის საკოლმეურნეო ბაზრებს გადასცა ნიტრატების განმსაზღვრელი ხელსაწყოები, რომელთა პულტთან არიან თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტები. ხელსაწყო ზედმიწევნით ზუსტად ამოწმებს პროდუქტებში ნიტრატების მოცულობის შემცველობას. აქვე აითვისეს აგრეთვე ხელსაწყოების წარმოება, რომლებიც საავტომობილო პარკებსა და სადგურებში შეამოწმებს ავტომანქანების დაგაზიანების მოცულობას და თუ იგი განსაზღვრულზე მეტი აღმოჩნდა, ასეთი ავტომანქანები რეისში აღარ გაიშვებიან.

ეროვნული განვითარებისა და პოლიტიკური კონსოლიდაციის კონცეფციის საბჭომ დიდი მუშაობა გასწია აგრეთვე გაერთიანებაში შემავალი ანალიზური ტექნიკის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის, თბილისის ანალიზური ხელსაწყოების საცდელი ქარხნის, თბილისის ტახომეტრიის, ჯვარის, მარტვილის, ქუთაისის სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროების სამეურნეო ანგარიშზე, თვითდაფინანსებასა და თვითანაზღაურებაზე გადასასვლელად. ამ საქმეში გაერთიანება ქვეყნის მასშტაბითაც კი ერთ-ერთი პირველთაგანი იყო. წარმატებით განხორციელდა თვითდაფინანსების პირველი მოდელი, მთავრდება მეორე მოდელის ათვისება. აღნიშნულის შედეგად გაერთიანებას თავის განკარგულებაში რჩება მოგების 90 პროცენტი. ეს თანხა ხმარდება საწარმოთა ტექნიკურ ხელახალ შეიარაღებას, რაც აქ დამკვრელური ტემპით მიმდინარეობს, და ყოველივე ეს ხდება საწარმოთა გაუჩერებლად.

მნიშვნელოვანი თანხები ხმარდება აგრეთვე მეცნიერების განვითარებას, სოციალური ინფრასტრუქტურის გარდაქმნას. საკმარისია ითქვას, რომ წელს საწარმომ გაანაწილა მოგების თანხებით აგებული 16-სართულიანი, 64-ბინიანი საცხოვრებელი სახლი და დაიწყო მეორე ასეთივე სახლის მშენებლობა, ზუგდიდის რაიონის სოფელ ანაკლიაში გამოყოფილია მიწის ნაკვეთი და აშენდება გაერთიანების მუშა-მოსამსახურეთათვის დასასვენებელი პანსიონატი.

გაერთიანებას აქვს საკუთარი დამხმარე მეურნეობა მარნეულის რაიონის სოფელ ჯანხოშში, მისი სახნავ-სათესი ფართობი მეტად შეზღუდული იყო — 131 ჰექტარი. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დახმარებით დამატებით გამოიყო 529 ჰექტარი. აქ შეიქმნება ნამდვილი „მწვანე საამქრო“, სადაც მოწეულმა პროდუქტებმა საგრძნობლად უნდა დააკმაყოფილოს კოლექტივის წევრები და სასადილოები. ჯერჯერობით მეურნეობა წამგებიანია და მის წამოწევას, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებას დიდი თანხები ხმარდება. ყველაზე მეტი სიამაყით გაერთიანებაში მაინც 16-სართულიან საინჟინრო კორპუსის მშენებლობაზე ლაპარაკობენ, რადგან მას ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს ექსპერიმენტების გაფართოებისა და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის კარგი სამუშაო და დასვენების პირობების შესაქმნელად. ეს კი იმის სტიმულია, რომ შექმნან მათ საუკეთესო ტექნოლოგიის მოწყობილობანი, რომლებიც ტოლს არ დაუდებენ მსოფლიოს საუკეთესო ნიმუშებს.

ფინანსური მდგომარეობა ამჟამად საწარმოში დამაკმაყოფილებელია. შარშან გაერთიანებამ 10 მილიონი მანეთი მოიგო, წელს 11 მილიონი მანეთის მოგებას ვარაუდობენ, მაგრამ ეს თანხა შემდგომში მკვეთრად უნდა გაიზარდოს. რის ნიადაგზე აპირებენ მოგების ზრდას? ხარისხის გაუმჯობესებით, ახალი კონკურენტუნარიანი ხელსაწყოების შექმნით და მათი უცხოეთის ბაზარზე გატანით. ამ მხრივ გაერთიანებას ბევრი აქვს დასაკვეხი. მის საწარმოებში დამზადებული ხელსაწყოები იგზავნება ინდოეთში, ირანში, მაროკოში, ბულგარეთში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში. რა სასიხარულოა, რომ გერმანიაში, მდინარე შპრეეზე დაინერგა გაერთიანების მარკით შექმნილი სამი ავტომატიზებული სისტემა, რომელიც წყლის გაჭუჭყიანებას განსაზღვრავს. ეს ხელსაწყო ერთ-ერთი საუკეთესოა, მსოფლიოში დღემდე არსებული ანალოგები თუ 11 პარამეტრს სინჯავენ, ქართული ხელსაწყო 18 პარამეტრს იკვლევს. სამამულო მარკის ღირსება აქ საერთოდ წინა პლანზეა წამოწეული. უცხოეთში გასაგზავნი ხელსაწყოების შექმნას აქ ერთდროულად რამდენიმე ე. წ. დროებით შემოქმედებით ბრიგადას ავალებენ. ასეთ ბრიგადებში შედიან ინჟინრები, კონსტრუქტორები, პროგრამისტი, მათემატიკოსი, წარმოების სპეციალისტები და მუშები. ისინი იკრიბებიან ერთად და ყველა მთელი გულისყურით იღებს მონაწილეობას ხელსაწყოს შექმნაში. ფორმდება ხელშეკრულება აღნიშნულ ბრიგადას და ადმინისტრაციას შორის: ბრიგადა კისრულობს დროზე, მსოფლიო სტანდარტების დონეზე შექმნას ჩინებული, კონკურენტუნარიანი ხელსაწყო, ხოლო ადმინისტრაცია თავის მხრივ კისრულობს, რომ შემოქმედებით ჯგუფს უზრუნველყოფს საჭირო მასალებით და როცა ხელსაწყო საგზურს მიიღებს, გამოუყოფს მას სოლიდურ პრემიას. ეს ახალისებს ბრიგადებს და ენერგიას არ იშურებენ პრობლემის გადასაწყვეტად, ყველა იღვწის შექმნას უკეთესი კონსტრუქციის და ხარისხის ტექნოლოგია.

გაერთიანების მეცნიერთა და კონსტრუქტორთა კოლექტივი სულ მეტ კონტაქტებს ამყარებენ აგრეთვე საზღვარგარეთელ კოლეგებთან, ეძებენ პარტნიორობის საიმედო გზებს. მაგალითად, მდინარეების გაჭუჭყიანების განმსაზღვრელი სისტემა, რომლის ღირებულება ასი ათასი მანეთია, მუშავდება პოლონეთის აღიარებული ფირმის „იქსა იპ“ კოლექტივთან ერთად. აღნიშნული სისტემის გამოცდა მოხდება მდინარე მტკვარზე მიმდინარე წლის მეოთხე კვარტალში, ამის შემდეგ იგი ქალაქს უსასყიდლოდ გადაეცემა და, გასაგებია, რაოდენ დიდ წვლილს შეიტანს მტკვრის აუზის გასუფთავების საქმეში. უცხოეთში ხელსაწყოებისა და სისტემების გატანა გაერთიანებას ვალუტის მარაგსაც შეძენს, რაც განსაკუთრებით საჭიროა რესპუბლიკის ეკონომიკის განმტკიცებისათვის.

პარტიული კომიტეტის გაფართოებულ სხდომაზე, სადაც საბჭოსა და მისი ხუთივე კომისიის თავმჯდომარეთა ანგარიში იქნა მოსმენილი და რომელზეც გაერთიანების მრავალ წარმომადგენელთან ერთად სიტყვით გამოვიდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგის მოადგილე კონსტანტინე კაპანაძე, პარტიის თბილისის ოცდაექვსი კომისრის რაიკომის პირველი მდივანი ჯემალ მარგველიძე, აღინიშნა ორი შესანიშნავი თაოსნობის შესახებაც. პირველი, გაერთიანების საწარმოებში დაინერგა შეჯიბრების ახალი ფორმა — ეკონომიკური შეჯიბრება. მისი არსი პრაქტიკულად აქ ასე ჩამოაყალიბეს: რესპუბლიკას სჭირდება ავტომატიზებული სისტემები. მაგალითად, ასეთი სისტემა სჭირდებოდა სოფლის მეურნეობას, რაშიც დიდი ვალუტა უნდა გადაეხადათ. ასეთი სისტემის შექმნა გაერთიანების შემოქმედებითმა კოლექტივმა იკისრა, მიღებულია დავალებაც და სათანადო დაფინანსებაც. მეორე, გაერთიანება პირველი გამოვიდა საქართველოში თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნის ინიციატივით. ანალოგიური ზონა უკვე არსებობს ჩინეთში და ამართლებს თავის დანიშნულებას. ანალიზხელსაწყოელთა ამ შესანიშნავ თაოსნობას პრესაში მაღალი შეფასება მისცა ოქსფორდის უნივერსიტეტის დოქტორმა სტივენ ჯონსონმა. აღსანიშნავია, რომ იგი მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება რესპუბლიკის სრული ეკონომიკური დამოუკიდებლობის გზაზე. ეძიებდე და ჰპოვებდე, — ეს დევიზი მოქმედებს ანალიზხელსაწყოს გაერთიანებაში.

პარტიული კომიტეტის ამ გაფართოებულ სხდომას ვინც დაესწრო, იგი აშკარად დარწმუნდა, რომ გარდაქმნის საქმეები კარგად მიდის, თუმცა მას მრავალი სიძნელენი ეღობება. პრობლემები ძველებურად საკმაოდაა, მაგრამ კოლექტივი მას არ უშინდება და თანდათანობით ძლევს.

გაფართოებულ სხდომაზე შეეხნენ ამჟამად ქვეყნისა და ერის წინაშე მდგომ სხვა პრობლემებსაც. აღინიშნა, რომ გაფიცვები, რომლებიც ახლა მიმდინარეობს, უკიდურესი ღონისძიებაა, იგი უდიდეს ეკონომიკურ ზიანს აყენებს არა მარტო თვით შრომით კოლექტივებს, რომლებიც სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსების პირობებში მოქმედებენ, არამედ მთელ სახალხო მეურნეობას, მთელ საზოგადოებას. ამიტომაც საჭიროა მომწიფებული საკითხები დროზე გადავჭრათ, მოვაგვაროთ საკონფლიქტო სიტუაციები, მკლავებდაკაპიწებული ვიშრომოთ, რათა წამოვწიოთ რესპუბლიკის მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილი ეკონომიკა, გავაჯანსაღოთ ფინანსური მდგომარეობა, შევქმნათ სრული პირობები რესპუბლიკის ეკონომიკური დამოუკიდებლობისათვის.

დავით ბიწაძე.

საქართველოს სსრ პროკურატურაში

სიმართლის პირისპირ

გასული წელი შეჯამდა დამამძიმებელი მონაცემებით, რომლებიც ახასიათებს საქართველოში სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის მდგომარეობას: დანაშაულობათა საერთო რაოდენობა შემცირდა 3,5 პროცენტით, მძიმე დანაშაულობათა — 3,8 პროცენტით. მაგრამ მომდევნო ექვსმა თვემ ამ მაჩვენებლებს კვლავ ნეგატიური დაღი დაასვა — აღინიშნა მათი ზრდა. ასეთი არასასურველი ცვალებადობის მიზეზები გულმოდგინედ გააანალიზეს პროკურატურის კოლეგიის გაფართოებულ სხდომაზე, რომელზეც, სისტემის მუშაკების გარდა, მიწვეული იყვნენ რესპუბლიკის სხვა სამართალდამცავი და მაკონტროლებელი ორგანოების ხელმძღვანელები.

საუბარს პრინციპული ტონი მისცა საქართველოს სსრ პროკურორის ვახტანგ რაზმაძის მოხსენებამ, რომელიც იყო კრიტიკული, ანალიზური, საქმიანი, რამაც განსაზღვრა კიდეც სხდომის მთელი ხასიათი. სწორედ ამიტომ სხდომის მონაწილეებმა ყურადღება გაამახვილეს მტკივნეულ პრობლემებზე, ისინი ისწრაფვოდნენ შემობრუნებულიყვნენ რეალობის, სიმართლისაკენ. იგი კი ასეთია: ჯერჯერობით ვერ მოხერხდა პოზიტიური ძვრების განმტკიცება საპროკურორო ზედამხედველობის განხორციელებაში.

კვლავ აქტუალურია მიწათსარგებლობის კანონმდებლობის დაცვის პრობლემა. მრავალი წლის განმავლობაში მართლსაწინააღმდეგოდ დაკანონებული იყო მიწის ნაკვეთების თვითნებური დატაცება და ამ ნაკვეთებზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობა. მიწათსარგებლობის კანონების ყოვლად უხეში დარღვევები მოხდა თბილისში, აფხაზეთში, სამხრეთ ოსეთში, რუსთავში, მარნეულში, გარდაბნის, ყვარლის, მარნეულის, სიღნაღის, ლაგოდეხისა და სხვა რაიონებში.

საპროკურორო-საგამოძიებო ორგანოების მუშაკების მიერ დაშვებული შეცდომებით აიხსნება მნიშვნელოვანწილად მიმდინარე წლის პირველ ნახევარში სისხლის სამართლის დამნაშავეობის ზრდა. გაიზარდა მთლიანად დანაშაულობათა, მათ შორის განზრახ მკვლელობისა და მისი მცდელობის, სხეულის მძიმე დაშავების, გაუპატიურების, ძარცვის, ყაჩაღური თავდასხმის, სახელმწიფო, საზოგადოებრივი და მოქალაქეთა პირადი საკუთრების ქურდობის რიცხვი. ადგილობრივი სამართალდამცავი ორგანოები ჯეროვნად არ აფასებენ მექრთამეობის წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკურ მნიშვნელობას.

საგანგაშოდ — თითქმის მესამედით — გაიზარდა სამართალდარღვევათა რიცხვი არასრულწლოვანთა შორის. აქ თავი იჩინა როგორც პროკურორების ცუდმა ურთიერთმოქმედებამ არასრულწლოვანთა საქმეების კომისიებთან და ინსპექციებთან, სახალხო განათლების, ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებებთან, კომკავშირთან, შრომით კოლექტივებთან, ისე ამ ორგანოთა მიმართ მოთხოვნის შესუსტებამაც.

რაც შეეხება მძიმე დანაშაულს, ორატორებმა აღნიშნეს, რომ იგი გაიზარდა 32 რეგიონში. ამავე დროს უარესდებოდა ამ დანაშაულის გახსნა: შარშან გაუხსნელ 1238 დანაშაულს გასული ნახევარი წლის განმავლობაში დაემატა კიდევ 740, სიტუაციას ართულებს ისიც, რომ აღმოფხვრილი არ არის აღრიცხვისაგან სამართალდარღვევათა დაფარვის მანკიერი პრაქტიკა, რისთვისაც საყვედურს იმსახურებენ უწინარეს ყოვლისა სამხრეთ ოსეთის, ახალქალაქის, დმანისის, ზესტაფონის და თერჯოლის რაიონების პროკურორები.

გაუარესდა სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიების ხარისხი, შესუსტდა ზედამხედველობა სასამართლოებში სისხლის სამართლისა და სამოქალაქო საქმეების განხილვისადმი, მართლწესრიგი შრომა-გასწორების დაწესებულებათა სისტემაში.

აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში, დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში მომხდარ ამბებთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ პროკურორები იქ ვერ ფლობდნენ ვითარებას, ეროვნებათშორის ნიადაგზე გაღვივებული შუღლის აღკვეთის უნარი ვერ გამოიჩინეს. პროკურატურის ორგანოების პასიურობამ, სათანადო ზედამხედველობის უქონლობამ გამოიწვია ის, რომ მილიციის თანამშრომლები აფხაზეთსა და მის მიმდებარე რაიონებში დაუბრკოლებლივ უთმობდნენ სამართალდამრღვევებს ცეცხლსასროლ იარაღსა და ტყვია-წამალს.

ახლა მარტო აფხაზეთის ამბების გამო აღძრულია ათობით სისხლის სამართლის საქმე. სხდომის მონაწილეებმა მოითხოვეს, რომ თითოეული საქმე განიხილონ ყოველმხრივ, ობიექტურად და ოპერატიულად, ეს საშუალებას მოგვცემს ზედმიწევნით ზუსტად დავადგინოთ მომხდარი ამბების მიზეზები და ბრალეულნი, ეს უკანასკნელნი, მათი ეროვნებისა და თანამდებობრივი მდგომარეობის მიუხედავად, მივცეთ პასუხისგებაში და დავსაჯოთ კანონის მთელი სიმკაცრით.

როგორც კოლეგიამ აღნიშნა, პროკურატურის ადგილობრივი ორგანოების შეცდომები გარკვეულწილად იმან განაპირობა, რომ არის ნაკლოვანებანი რესპუბლიკის პროკურატურის აპარატის მუშაობაში სამართლებრივი სახელმწიფოს ფორმირების პირობებში საპროკურორო ზედამხედველობის გარდაქმნის ხელმძღვანელობისათვის, და მიიღო სოციალისტური კანონიერების განმტკიცების ამ მნიშვნელოვანი ინსტიტუტის საქმიანობის ეფექტიანობის გაძლიერების კონკრეტულ ღონისძიებათა გეგმა.

სხდომაზე გამოვიდა სსრ კავშირის გენერალური პროკურორის მოადგილე ვლადიმერ კრავცევი.

კოლეგიის გაფართოებული სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი ალექსანდრე პავშენცევი და რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელმწიფო-სამართლებრივი განყოფილების გამგე ოთარ გონაძე.

(საქინფორმი).

საქველმოქმედო კონცერტი

აკაკი ხორავას სახელობის მსახიობის სახლში თეატრალური პროპაგანდის, შემოქმედებითი შეხვედრებისა და დედაქალაქის კულტურის საზოგადოებრივი ცენტრების თაოსნობით გაიმართა საქველმოქმედო საღამო, რომელშიც ამერიკის შეერთებული შტატების ახალგაზრდათა ქრისტიანული კავშირის წევრებიც მონაწილეობდნენ. სხვათა შორის, აქ სტუმრად იმყოფება თვით ამ კავშირის პრეზიდენტი ბატონი ნიკოლოზ გონჩაროვი.

საღამოს მოწყობაში მასპინძლებთან ერთად სტუმრებიც მონაწილეობდნენ.

ფლეიტისტ დონ ვიზინგერის, მევიოლინე ელისაბედ ბათიაშვილის, კამერული ანსამბლის (ხელმძღვანელი — ჯარჯი ბალანჩივაძე) და ქართული საეკლესიო მუსიკის ვოკალური ანსამბლის (ხელმძღვანელი — სერგო ტყაბლაძე) დახვეწილმა საშემსრულებლო ოსტატობამ მოხიბლა მაყურებელი. სტუმრებს განსაკუთრებით საბავშვო ფოლკლორული ანსამბლის „ლელას" (სამხატვრო ხელმძღვანელი — კომპოზიტორი ჯემალ ადამაშვილი) გამოსვლა მოეწონათ. ანსამბლმა ქართულ ხალხურ სიმღერებთან ერთად ამერიკული სიმღერებიც შეასრულა.

კონცერტის შემოსავალი გადაირიცხა ფონდში „დახმარება".

ინეზა ლეკვეიშვილი.

* * *

სურათებზე: კონცერტის დროს, კონცერტის შემდეგ.

ა. რუხაძის ფოტო.

ისტორიის ფურცლები

სამი წერილი ოციანი წლების საქართველოზე

ჩვენ მიერ მკითხველისათვის წარმოდგენილი დოკუმენტები აღებული გვაქვს საქართველოს დემოკრატიული მთავრობის არქივიდან, რომელიც ინახება ჰარვარდის (აშშ) უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში. გთავაზობთ ლადო ახმეტელის — ბერლინში ნოე ჟორდანიას მთავრობის წარმომადგენლის ორ წერილს ნ. ჟორდანიასადმი და ნ. ჟორდანიას წერილს აკაკი ჩხენკელისადმი, რომელიც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დესპანი იყო ევროპაში 1921 წლიდან. ამ წერილებში გადმოცემულია ლ. ახმეტელის და ცნობილი ქართველი ბოლშევიკის ა. სვანიძის საუბრის შინაარსი.

ალექსანდრე სვანიძე 1924 წლის ივნისში გავლით იმყოფებოდა ბერლინში და ორჯერ შეხვდა ლ. ახმეტელს. მათ შეხვედრებში ისინი ეხებიან საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას, კავშირის ურთიერთობას „ნაციონალ-უკლონისტებთან", ნაციონალიზაციის პოლიტიკას საქართველოში და სხვა საკითხებს.

ა. სვანიძის შეხვედრა ლ. ახმეტელთან გაიმართა საქართველოში შეიარაღებულ აჯანყებამდე ორი თვით ადრე. ჩანს, მოსკოვში იცოდნენ აჯანყების მზადების შესახებ. ამ დროს ინტენსიურად მიმდინარეობდა მოლაპარაკება სსრ კავშირსა და ინგლისს შორის ეკონომიკური ურთიერთობისა და სესხის შესახებ (ხელშეკრულებას მოაწერეს ხელი ლონდონში 1924 წ. 8 აგვისტოს). წარმოებდა აგრეთვე მოლაპარაკება საფრანგეთთან დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების შესახებ.

შეიარაღებული აჯანყება საქართველოში უარყოფით ზემოქმედებას მოახდენდა საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობაზე. მით უმეტეს, რომ ინგლისის მთავრობამ 1924 წლის 1 თებერვლის თავის ნოტაში ცნო საბჭოთა მთავრობა „დე-იურედ", „ყოფილი რუსეთის იმპერიის მთელ ტერიტორიაზე, რომელიც ცნობს მის ხელისუფლებას". აქვე შენიშვნით „დე იურედ" ცნო საბჭოთა მთავრობა 1924 წლის 28 ოქტომბერს საფრანგეთმა. ამ ვითარებაში შეიძლება სარწმუნოდ მივიჩნიოთ ა. სვანიძის ინფორმაცია სტალინისა და სხვა ხელმძღვანელების მცდელობათა შესახებ, რომ საქართველოს ოპოზიციური მოძრაობა ჩააყენონ „მშვიდობიან" კალაპოტში.

1924 წლის აგვისტოს აჯანყებას გამოეხმაურა მთელი ევროპა, სექტემბერში ერთა ლიგამ მიიღო რეზოლუცია საქართველოს შესახებ, სადაც აჯანყება მიჩნეული იყო როგორც ომი საბჭოთა რუსეთსა და საქართველოს შორის. საბჭოთა მთავრობამ ერთა ლიგის ეს აქტი ჩათვალა „სსრ კავშირის საშინაო საქმეებში უხეშ ჩარევად".

ამ დოკუმენტების გაცნობა საშუალებას გვაძლევს უფრო ღრმად გავერკვეთ საქართველოს ისტორიის აღნიშნულ მონაკვეთზე.

ავთანდილ მენთეშაშვილი.

* * *

ლ. ახმეტელის ორი წერილი ნ. ჟორდანიასადმი.

ღრმად პატივცემულო ნოე ნიკოლოზის ძე!

სულ რამდენიმე დღის წინეთ შეხვედრა მომიხდა ერთ ქართველ ბოლშევიკთან — ალიოშა სვანიძესთან. ჩვენი ერთად შეხვედრას შემთხვევითი ხასიათი არ ქონია. მე კარგა ხანია გაგებული მქონდა, რომ მოსკოვის დავალებით ალ. სვანიძე გერმანიაში იგზავნება შავი ქვის მრეწველობის წარმომადგენლათ, უმთავრესად კი ფერომარგანეცის წარმოების საქართველოში (ჭიათურაში) მოსაწყობად. ალ. სვანიძე სტალინის ცოლის ძმა და მასთან კარგად დაახლოებული პირია. ვიცოდი აგრეთვე, რომ ა. სვანიძე მოსკოვში აქეთ წამოსვლისას სტალინს ინახულებდა და აქ ჩემთან მოისურვებდა ლაპარაკს. მეც გადავწყვიტე მიუხედავათ იმისა, რომ ფსიხოლოგიურად ძალიან მეზიზღება ბოლშევიკთან შეხვედრა — თუ იგი მოისურვებდა ჩემთან ლაპარაკს შევხვედრილიყავ და მელაპარაკა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ალ. სვანიძე „უკლონისტთა" ჯგუფს ეკუთვნის და თავის პოლიტიკურ-სოციალური შეხედულებით დაშორებულია კომუნისტებთან და ნაციონალ-სოციალისტის ფიზიონომიას ატარებს. კარგათ ვიცნობთ მას, მეგობრული და ოჯახური მისვლა-მოსვლა მქონდა ძველად. ასეთ კაცთან შეხვედრა მაშასადამე მხოლოდ და მხოლოდ სწორი და ობიექტური ინფორმაციის მიღებისათვის — საჭიროდ დავინახე. ვამბობ — მხოლოდ ინფორმაციის მიღება და სხვა არაფერი. პირადად მე იმ შეხედულებისა ვარ, რომ ჩვენსა და რუსეთის ბოლშევიკების შორის დღეს დღეობით ისეთი უთანასწორო ძალთა განწყობილებაა, ბოლშევიკები თავისი შინაარსით ისეთი დიქტატორები არიან, რომ მათთან რაიმე პოზიტიური მოლაპარაკება შეუძლებელი და მიზანშეუსაბამოა. ძალა უხეში და ბრიყვი — მხოლოდ უხეში ძალის წინაშე მოიხრის თავს; საკაცობრიო მიზანი, სამართლიანობა მათთვის უქმი სიტყვებია. ცოტა ინფორმაციას კი — დარწმუნებული ვიყავი მომაწვდიდა. ამაში ჩემდა საბედნიეროდ არ შევმცდარვარ.

გერმანიაში მოსვლისთანავე, მიუხედავად იმისა, რომ გაეფრთხილებიათ — შენ ახმეტელი არ დაგელაპარაკებაო — ტელეფონით დამიძახა — სადმე ნეიტრალურ ადგილზე — შევხვედრილიყავით. ტელეფონითვე მითხრა: დავალება მაქვს სტალინიდან მოგელაპარაკოთ და სხვა. მე უბრალოდ უთხარი: მტერთან დალაპარაკება ერთობ მეზარება, განსაკუთრებით ისეთ მტერთან, რომელმაც უდიდესი დანაშაული ჩაიდინა ჩვენი ერის წინაშე თქვა. სვანიძემ სიცილით მითხრა: მე მონაწილე არ ვარ ასეთი დანაშაულების და შეიძლება შენზე ნაკლებათ არ მეზიზღებოდეს. მოკლე საუბრის შემდეგ შევთანხმდით სადმე ყავახანაში შევხვედრილიყავით. შეპირება სისრულეში მოვიყვანეთ და ნაშუადღევს 5 საათზე ერთ პატარა ყავახანაში შევხვდი.

ჩემი პირველი განცხადება იყო: მე თქვენ გელაპარაკებით მხოლოდ იმიტომ, რომ დარწმუნებული ვარ სწორსა და ობიექტურ ცნობას მივიღებ ჩვენი ხალხის სულიერ მდგომარეობის შესახებ, აგრეთვე თქვენი სისხლიანი რეჟიმის „დადებითი" ნაყოფის გამო. შენთან არ მოვსულვარ პრინციპების შესახებ საკამათოდ. რუსეთის კომუნიზმი სოციალისტურად მოაზროვნესათვის უკვე აშკარათ გაშიშვლებულია, აზიური ზოოლოგიური დესპოტია, განსაკუთრებით ამაში დარწმუნებულია ქართველი ხალხი და თქვენთან არავითარ კამათში არ შევა, არც პოზიტიურ მოლაპარაკებას დაგიწყობთ. ასეთი ჩემი წინადადება უდავოთ გაიზიარა. ამის შემდეგ ვკითხე, თუ თქვენც ისეთი ოდიოზური პიროვნება ხართ, როგორიც არიან ფ. მახარაძე, ბ. მდივანი და სხვები, თუ ჩვენი ერის თავდასხმის საქმეში ისეთსავე აქტიურ მონაწილეობას იღებდით, როგორც ზევით დასახელებული პიროვნებები, ასეთ შემთხვევაშიაც გამიძნელდება თქვენთან საუბარი და შენიდან რაიმე ცნობის, თუნდაც სწორის — მიღება. მან განაცხადა: საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება ჩემთვის დიდი აქტი იყო, მისი სუვერენული ორიენტაციისა ვიყავი. ხოლო მას შემდეგ, რაც უკვე გაირკვა, რომ რუსეთის ბოლშევიკები ჩვენი ქვეყნის დაპყრობას პრაქტიკულად შეუდგებოდნენ, რაშიაც მე ეჭვი აღარ მქონდა — მაშინ გადავწყვიტე მოსკოვში წავსულიყავ, იქ მემუშავნა და ჩვენი ქვეყნის ბედის საქმეში დროს შესაფერი ზომები მიმეღო. საქართველოს დაპყრობამდის — ექვსი თვის ადრე — წაველი მოსკოვში. იქ მე დიდი შეხლა შიხდებოდა ჯუგაშვილთან. იგი თითქოს გარეგნულად — „ველიკორუსეთის" პატრიოტებთან ერთად მომხრე იყო საქართველოს დაპყრობის. საგულისხმოა, რომ ლენინი თავში არ იზიარებდა ასეთ შეხედულებას თურმე. სისტემატიური მუშაობის შემდეგ ლენინიც დააჯერეს საქართველოს ძალით დაპყრობის აუცილებლობაშიო და შემდეგ ეს მეტად სამწუხარო საქმე სისრულეში მოიყვანესო. ამის შემდეგ მე გამოვეშურე საქართველოში, საბჭოთა მთავრობაში შევედი და ამ გზით მინდოდა იმის გადარჩენა, რის გადარჩენაც შეიძლებოდა. პირველი საბჭოთა მთავრობა დადებითად ცდილობდა გაეკეთებია ის, — ეროვნული თვალსაზრისით, რასაც აკეთებდა ნ. ჟორდანიას მთავრობაო; დამოუკიდებლობის სახე შეგვენარჩუნებია ჩვენი ქვეყნისათვის. მაგრამ ოკუპანტებმა თავისი სახე მალე გამოაშკარავეს და ველიკორუსული პოლიტიკის წარმოება გაშიშვლებულად დაიწყეს. გაჩაღდა ჩვენ შორის მეტად უთანასწორო ბრძოლა: საქართველოში რუსის ბოლშევიკებს მხარს უმაგრებდა მთელი რუსობა, სომხობა, ოსობა და მოსკოვი, ჩვენ კი არავინ, — გარდა ორიოდე ძველი ქართველი ბოლშევიკ მუშებისა. მოვხვდით ორი წისქვილის ქვის შუალა. სწორედ ჩვენი შეცდომა იყო რომ ჩვენ ასეთ უთანასწორო ბრძოლის დროს არ დავეთანხმდით მოსკოვს და არ დავიწყეთ ჩვენის ხელით იმის გატარება, რასაც ცენტრი მოითხოვდა ამ შემთხვევაში აჯერბეიჯანელები უფრო პრაქტიკის ხალხი გამოდგა. ბალი აღას („კი ბატონო" — სპარსული გამოთქმაა — ა. მ.) ეძახიან მოსკოველებს დროს და გარემოების მიხედვით თავიანთ საქმეს აკეთებენ. იქ არ არის ასეთი დევნა და ნაციონალური შევიწროება, რამდენიც ჩვენში. ჩვენ დაგვამარცხეს, და თქვენ წარმოიდგინეთ ჩვენ მეტად გვდევნიან, ვიდრე სოც. დემოკრატებსო. მართალია ციხეში ჯერ არ ჩაუყრივართ, მაგრამ ისე დიდ კონტროლ ქვეშ ვყევართ. აქეთ-იქით გვასახლებენ. ტყუილია ის განცხადებები. თითქოს ფ. მახარაძე შერიგებოდეს მათ, მაგრამ რას ვიზამთ ასე აცხადებენ გაზეთებში, გაბედეთ და სთქვით წინააღმდეგი. საქართველოში მოსკოვის დახმარებით გაბატონდა წარმოუდგენელი ველიკორუსული ბატონობა. ასეთ უთანასწორო ძალთა განწყობილების დროს აქტიური გამოსვლები, დემონსტრაციები ჩვენ ხალხს დიდ საფრთხეში აგდებენ. მტერი დაუნდობელია და სწორეთ ნოე ჟორდანიას ყურადღებაც აქეთ უნდა იყოს მოქცეული, რომ ხალხი მეტად ფრთხილად მოიქცეს. ქართველი ხალხი სულით არ არის გატეხილი, ს. დემოკრატიული პარტია უფრო ძლიერია ვიდრე დამოუკიდებლობის დროს იყო; ძალით გამოყვანილი ხალხი — ზოგიერთი რენეგატების გამოკლებით უსაზღვრო ზიზღით უყურებს უცხო ბატონობას. თვით ნამდვილ ბოლშევიკებში დიდი სიმპატია ს. დ. პარტიისადმი.

ჩვენი ხალხის ნაციონალურად განმტკიცებას დიდათ ხელს უწყობს უკრაინაში ნაციონალური მოძრაობის გაძლიერება. ოცდაოთხი მილიონი ხალხი ძალაა, მოსკოვი ველარ ერევა მათ. საშინელი დევნაა უკრაინაში ებრაელების, ველიკორუსების. ყველა დაწესებულებიდან ერეკებიან და ასეთი ხაზით გადის უკრაინაში ნაციონალიზაცია. რაც იქ მკვიდრდება, მიუხედავათ უთანასწორობისა — ჩვენშიაც ჩვენი ხალხი ახერხებს — ენერგიული წინააღმდეგობის მეოხებით დაწესებულებაში ნაციონალიზაციისა და ეროვნული სახის შენარჩუნებას.

მართალია დიდი ოპოზიციაა, ხალხის დიდი უმრავლესობა შეგნებულ ბრძოლას აწარმოებს დამპყრობელთა წინააღმდეგ, მაგრამ მოსკოვი მაინც თავხედობს, აგდებულათ ექცევა, ვინაიდან ცოტანი ვართ. უკრაინა ჩვენ რაოდენობით გვჯობნის, ჩვენ მათ შეგნებით. მიუხედავათ ამისა ვამბობ მოსკოვი თქვენ არაფერს დაგითმობთ. იგი უფრო სერიოზულ ძალას უწევს ანგარიშს. დიდი ნუგეშია, რომ თქვენ ძალიან გამარჯვებული ხართ მეორე ინტერნაციონალში, ევროპის დემოკრატიულ სახელმწიფოებში. ესენი კი ისეთი ძალაა, რომელსაც მოსკოვის ბოლშევიკები დიდ ანგარიშს უწევენ. ახლა ისინი კატასტროფიულად დაღუპვის თავიდან აცდენას მეორე ინტერნაციონალთან შეთანხმებაში ხედავენ, უნდა შეუერთდნენ თქვენ ინტერნაციონალს მრავალი დათმობით. როცა მე უთხარი რომ მეორე, ე. ი. ჩვენი ინტერნაციონალი მოსკოვის ინტერნაციონალთან შეთანხმების ენას ვერ გამოძებნის მაგარ უკიდურ რეაქციონერ ძალათ აღვიარებენ — მაგან სთქვა: ნიკოლოზ ნიკოლოზის ძეს ტახტზე წამოჯდომა აუცილებელია. ყოველ შემთხვევაში მეორე ინტერნაციონალის დახმარებით, ინგლისის — მაკდონალდის მეოხებით ბევრი რისამე გაკეთება შეგიძლიანთ, ბევრ რასმე დასთმობენ მოსკოვის ბატონებიო. ახლა სტალინია ძალაში და უცხო ტომის ხალხიო, მათ არც ისე გული შესტკივათ ველიკორუსული ნაციონალიზმისათვისო. თქვენი გზა სწორია, იმუშავეთ მეორე ინტერნაციონალში, მაკდონალდთან. მათ დიდ ანგარიშს უწევენ მოსკოვის მესაჭეებიო. მანამდის კი ერიდეთ უმიზნო მსხვერპლის გაღებას. მეც ვფიქრობ — თქვენი გზა სწორია და გამარჯვებაც ადრე თუ გვიან თქვენიაო.

შემდეგ მითხრა კიდევ შევხვდეთ, სტალინმა კიდევ რაღაცეები დამავალა შენთან მომელაპარაკნა. მეორეთ ჯერ არ შევხვედრივართ.

სიტყვა ჩამომართვა ეს ნალაპარაკევი ჩვენ შორის დარჩენილიყო. მაგრამ ეტყობა სისუსტე გამოიჩინა და დაუფიქრებლობით დ. ლამბაშიძესათვის ეთქვა ჩემთან შეხვედრის შესახებ. როგორც იცით ლამბაშიძეს ამბავი ამან მთელ ბერლინს მოსდო. ჩვენი ზოგიერთი ამხანაგები ჩვენ შეხვედრას არ იწონებენ ტაქტიკური მოსაზრებით, ეს სტუდენტებს საბაბს მისცემს ბოლშევიკებთან წავიდენო. მე ამას ანგარიშს არ უწევ, მტრიდან ობიექტიური ცნობის მიღება სასარგებლოდ მიმაჩნია და მოვიმოქმედე კიდეც. მჯავრის დამდები თქვენ ხართ როგორც მთავრობის თავმჯდომარე, როგორც ერისა და პარტიის ბელადი.

პირადად მე ძალიან მეზარება ბოლშევიკების ნახვა. გველთან თამაში არავის ესიამოვნება. მაგრამ სარგებლიანობის თვალსაზრისით მიუდექი.

მიიღეთ ღრმესი სალამი
თქვენი ლადო ახმეტელი

მოკითხვა თქვენ მეუღლეს, აკოცეთ ბავშვებს. თქვენი ლადო.

30 ივნისი, 1924 წელი.

* * *

დიდათ პატივცემულო ნოე!

თქვენი წერილი 5 ივლისის თარიღით მივიღე, სვანიძე თქვენი წერილის მიღებამდე მეორეთ ვინახულე. ის შიში, რომელიც თქვენ გამოსთქვით მოსალოდნელი არ არის. ჯერ ერთი რომ ალ. სვანიძე ისეთ ტიპის ბოლშევიკებს არ ეკუთვნის რომ ყველაფერი სააგიტაციოთ და საპროპაგანდოთ გამოიყენოს. მეორე იგი ბერლინში მხოლოდ სამი-ოთხი დღით გაჩერდა და შემდეგ წავიდა ჰააგაში — „ჩემო" საქმეების მოსაწყობათ. იქ დაყოფს სულ ორ თვეს და მერე გაემგზავრება საქართველოში. მან აქ ინახულა სულ რამდენიმე ქართველი, სწორეთ რომ ვსთქვათ იგი ინახულეს...

რაც შეეხება ჩემი მეორე ნახვის სამუსაიფო საგანს — ეს იყო სტალინის აზრი ჩვენს საკითხის შესახებ და რა კონკრეტიული დავალება აქვს მას ჯუგაშვილიდან. როგორც გამოირკვა სტალინს მისთვის კონკრეტიულად არაფერი დაუვალებია. უთქვამს — ანუ განუმარტებია ზოგიერთი თავისი შეხედულება საქართველოს შესახებ, რომელიც შეეძლო ჩემთვის გადმოეცა. კონკრეტულობა თუ ამ სიტყვას თავის მნიშვნელობით ვიხმართ შემდეგში გამოიხატება: რუსები საქართველოს ისე პატარა ძალათ უყურებენ, რომ მის წარმომადგენლებს ისინი პირდაპირ ლაპარაკს ვერ დაუწყებენ, ეს მათი პრესტიჟისა და ავტორიტეტის დამცირება იქნება; მას მოყვება მრავალი შინაური გართულება და სხვა... თუ ასეთი მოლაპარაკება დაიწყება მეორე ინტერნაციონალის ინიციატივით, ან მაკდონალდის თაოსნობით მოხდება, მაშინ ბოლშევიკების მხრივ მრავალი დათმობა იქნება, სტალინი და ზინოვიევი მაინც და მაინც დიდათ თავს არ შეიწუხებენ ველიკორუსების პოლიტიკის განმტკიცებისათვის. ასეთი დასკვნა გამოუტანია სვანიძეს სტალინთან ლაპარაკის დროს. კერძო საუბრისას თურმე ხშირად იტყვის სტალინი: „რას ვემართლებით საქართველოს, რაზე ვაჭმევთ რუსეთსო".

რომელიმე დემოკრატიული სახელმწიფოს წარმომადგენლები მტკიცედ თუ მოსთხოვენ საქართველოს შესახებ — ბევრს დასთმობენ. აქ გულისხმობენ ინგლისის მთავრობას — რასაკვირველია. მდგომარეობა მეტად გართულებიათ, რათაც უნდა დაუჯდეთ — აუცილებლად სესხი უნდა იშოვონ ინგლისელებიდან. ფული კი — როგორც იქ ულაპარაკიათ კვლავ რამდენიმე წლით გაახანგრძლივებს მათ არსებობას.

რასაკვირველია ასე პრიმიტიულად არ წარმომიდგენია ბოლშევიკების ბატონობის გახანგრძლივება — ფულით თუ ევროპის ფინანსების მეოხებით, — როგორც ამას სვანიძე ფორმულიროვკას უშვრება. მაგრამ ერთი კი დასაჯერებელია: ბოლშევიკური რუსეთის ახლანდელი მესვეურნი ისე მტკიცედ არ დგანან ჩვენი საკითხის დათმობის საქმეში, როგორც ეს იყო რამდენიმე წლის წინათ, ან როგორც ეს გონიათ ევროპის ჩვენ ამხანაგებს. ეს არის სვანიძის მიერ გამოტანილი დასკვნა და ირწმუნება, რომ ამას ფიქრობს სტალინი — ჯუგაშვილი საქართველოს შესახებო. ყოველ შემთხვევაში — თუ მართალია —საგულისხმოა...

13 ივლისი, 1924 წელი.

* * *

ნ. ჟორდანიას წერილი ა. ჩხენკელს.

აკაკი, შენი წერილი 10 ივლისის თარიღით მივიღე. საყურადღებოა ის რაც სუმბათაშვილს მოუწერია. ბოლდვინი როგორ შეთხზავდა ამ ამბავს. რაღაც მოლაპარაკება უნდა წარმოებდეს ჩვენს შესახებ — უეჭველად მიმაჩნია მას შემდეგ რაც ახმეტელმა ამ დღეებში მაცნობა. ის მწერს — ბერლინში ჩამოვიდა სვანიძე მოსკოვიდან, ყოფილი კომისარი ჩვენში, სტალინის ცოლის ძმა. მას ორჯერ უნახავს ახმეტელი და მისთვის გადაუცია საიდუმლოთ შემდეგი: სტალინთან ლაპარაკისაგან გამოირკვა, რომ ბოლშევიკები საქართველოს საკითხში დათმობენ თუ მაკდონალდი მტკიცედ მოითხოვს ამასო. მისივე სიტყვით, სესხის საკითხი მათთვის არსებობის საკითხია და მისი შედეგებისათვის ყველაფერზე წავლენო. დღეს საქართველოს საკითხში ისეთ შეურიგებლობას არ იჩენენ, როგორც წინეთ, ოღონდ თუ მას მაკდონალდი, მეორე ინტერნაციონალი ან სხვა დიდი ძალა წამოაყენებს. თვითონ საქართველოს წარმომადგენელს ლაპარაკს არ დაუწყებენო. აქ საყურადღებოა, ის რომ სტალინის ცნობით, ალბათ დასტურითაც, მოხდა სვანიძის მისვლა ახმეტელთან და ასეთი ცნობის მიცემა, ეს გავს არაოფიციალურად შემოთვლას. რა მიზნით! ან თავის საქმეს იკეთებენ ჩვენთან მომავლისათვის ან გვაფრთხილებენ და გზას გვიჩვენებენ, ანდა ეს საკითხი ყელზე ადგიათ და სურთ, იქიდან წმინდათ გამოვიდენ, სვანიძის აზრით, დღევანდელი მართველები არარუსებია, არ სურთ ველიკორუსული პოლიტიკა აწარმოვონ, მარა ეშინიათ გავლენის დაკარგვის და საჭიროებენ მაგარ მოპირდაპირეს დათმობის საკითხში ველიკორუსების წინაშე თავის გასამართლებლათო. ერთი ცხადია, მაკდონალდზე არ დაიწყებდნენ ლაპარაკს მოსკოვში, რომ მართლაც ამ საგანზე სადმე ლაპარაკი არ იყოს. ეს სვანიძის მოტანილი ამბავი და მაკდონალდის ნათქვამი: თქვენი საქმე არც ისე ცუდათ არისო —ერთმანეთს ეთანხმება. სამწუხაროა ჩვენ კი არ ვართ საქმის კურსში. შეიძლება მივიღოთ რაიმე ზომა გასაგებათ, რადგან ბოლდვინი მგონი ამოურჩევია თვით მაკდონალდს შუაკაცათ, შეიძლება მისი საშუალებით რაიმე გავიგოთ! ყოველ შემთხვევაში ბადე გადავისროლოთ იმით რომ, ეს სვანიძის ცნობა ვამცნოთ მაკდონალდს იმავე ბოლდვინის საშუალებით მისწერე შენ სუმბათაშვილს... გადასაცემათ დაახლოებით ასეთი ვერსია: მოსკოვიდან ჩამოვიდა ამ დღეებში ერთი ცნობილი ბოლშევიკი და ჩვენ წარმომადგენელს ახმეტელს საიდუმლოთ გადასცა პირადად, რომ მოსკოვი თანახმაა საქართველოს საკითხში დათმონ, თუ ამას მაკდონალდი მაგრათ მოითხოვსო.

ეს ცნობა მაკდონალდს გაამხნევებს და ეგება კიდევ რამე შემოთვალოს. სვანიძეს ნუ დაასახელებთ თვარა, რომ გახმაურდეს მასაც ავნებს და ჩვენც.

ირაკლი არ მოდის პარიზში. შენ ინახულე ბლუმი და გამოკითხე ჩვენი საქმის. ჩემ მაგივრადაც გამოკითხე.

მე სადღაც წავიკითხე რომ ხოშტარიას სპარსეთის კონცესია ინგლისელებმა შეისყიდეს და მოსკოვთან აწარმოებენ მოლაპარაკებას კავკასიის გზით ამ კონცესიების ექსპლოატაცია მოახდინონო შეერთებულად. საქართველოს საკითხი თუ იქნება მოგვარებული, საჭიროა ამ ამბის კარგად გაგება. საქართველოდან თუ რამე ცნობაა გამაგებინე.

ჟორესის ნეშტის გადასვენება თუ მოხდება პანთეონში, საჭიროა ჩვენმა კოლონიამ და სოციალდემოკრატებმა მონაწილეობა მიიღონ პროცესიაში თავისი დროშებით.

იყავით გამარჯვებული, შენი ნოე

19 ივლისი, 1924 წელი.

უცხოეთში

საქდესი [illegible]

14 აგვისტო

ეროვნული ბიბლიოთეკა

⊙ პანამა

ორმხრივი ბრალდება

ნიუ-იორკი. გაიმართა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს სხდომა, რომელზეც პანამის თხოვნით განიხილეს ამ ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობა.

პანამის საგარეო საქმეთა მინისტრმა ხორხე რიტერმა განაცხადა, რომ პანამის ტერიტორიაზე მყოფი შეერთებული შტატების ჯარები საშიში მასშტაბით განაგრძობენ თავიანთ პროვოკაციებს. ხელყოფენ ქვეყნის სუვერენიტეტს, ტერიტორიულ მთლიანობას და არღვევენ პანამის არხის შესახებ დადებულ ხელშეკრულებებს. იმ მიზნით, რომ შეინარჩუნონ ამერიკის შეერთებული შტატების კოლონიური ანკლავი ქვეყნის ცენტრში, ხ. რიტერმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს მოუწოდა მიიღოს ზომები, რომლებიც პანამას თავიდან აацილებენ აშკარა შეიარაღებულ შეტაკებას და აგრესიას.

ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა ჰერბერტ ოუკენმა უარყო პანამის მინისტრის მიერ წაყენებული ყველა ბრალდება. მან განმარტა, რომ შეერთებული შტატები „კვლავაც ზედმიწევნით შეასრულებს პანამის არხის შესახებ დადებული ხელშეკრულებების ყველა პუნქტს და მოითხოვს, რომ პანამის გენერალ ნორიეგას რეჟიმმაც იგივე აკეთოს". ოუკენმა ნორიეგას ბრალად დასდო, რომ იგი ისწრაფვის შეინარჩუნოს ძალაუფლება ქვეყანაში და იმიზეზებს სხვადასხვა საბაბს, რათა არ ცნოს გამართული არჩევნების შედეგები.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს სხდომაზე გამოვიდნენ მხოლოდ პანამისა და ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლები.

● უნგრეთი

მშრომელთა საკეთილდღეოდ

ბუდაპეშტი. უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის კუთვნილ სულ უფრო მეტ სამკურნალო პანსიონატს, სამსახურებრივ სასტუმროს გადასცემენ ადგილობრივ საბჭოებს, სახელმწიფო საწარმოებს და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს. ამ ძვირადღირებულ ნაგებობებს წინათ სრული დატვირთვით ვერ იყენებდნენ.

⊙ იაპონია

ახალი საგარეო პოლიტიკა

ტოკიო. იაპონია დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სსრ კავშირთან ურთიერთობას და მოწადინებულია დადოს საზავო ხელშეკრულება საბჭოთა კავშირთან ეგრეთ წოდებული „ტერიტორიული პრობლემის" გადაჭრის საფუძველზე, განაცხადა იაპონიის პრემიერ-მინისტრმა ტოსიკო კაიფუმ, რომელმაც აქ გამართულ პრესკონფერენციაზე ჩამოაყალიბა თავისი მთავრობის საგარეო და საშინაო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებანი.

მან აღნიშნა, რომ მიესალმებოდა იაპონიაში მ. ს. გორბაჩოვის ვიზიტს. ამ ვიზიტის განხორციელება, დასძინა ტ. კაიფუმ, ორი ქვეყნის ურთიერთობის ისტორიის დიდმნიშვნელოვანი ნიშანსვეტი გახდება.

პრემიერ-მინისტრმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებთან ურთიერთობას ცენტრალური ადგილი უკავია ტოკიოს საგარეო პოლიტიკაში. მან თქვა, რომ განზრახული აქვს უახლოეს ხანს ვიზიტად ჩავიდეს შეერთებულ შტატებში. ტ. კაიფუმ მხარი დაუჭირა აგრეთვე ჩინეთთან მეგობრული ურთიერთობის გაღრმავებასა და განვითარებას. მან აღნიშნა, რომ მიესალმება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ხელმძღვანელობის კურსს, რომლის მიზანია საგარეო ურთიერთობის მოდერნიზაცია და გაფართოება.

◆ საბერძნეთი

არქეოლოგიური სიახლენი

ათენი. ბერძენმა არქეოლოგებმა კრიტოსის კუნძულის ქალაქ რეტიმნონის მიდამოებში აღმოაჩინეს უძველესი ნეკროპოლი. იგი ძველი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეს განეკუთვნება და შედგება 26 კარგად შენახული საფლავისაგან. ყოველ სამარხში 1-3 კაცის ნეშტია, რომლებისთვისაც საფლავში ჩაუყოლებიათ შრომის იარაღი, ძვირფასი სამკაულები და კერამიკული ნაკეთობანი.

როგორც ადგილობრივი ხელისუფალნი იუწყებიან, ნაპოვნს სულ მალე გამოფენენ ადგილობრივ არქეოლოგიურ მუზეუმში.

სამყაროს მეორე მხარეს

ფრთხილად!.. „საბჭოთა განგსტერები"

ნიუ-იორკი. მოციმციმე ტელეეკრანზე მოჩანს რესტორანი „პატარა ოდესა". ასე უწოდებენ ნიუ-იორკის ამ რაიონს, სადაც მცხოვრებთა უმრავლესობას საბჭოთა კავშირიდან ჩამოსული ემიგრანტები შეადგენენ.

ისმის იგივე მელოდიები, რომლებსაც გაიგონებთ მოსკოვში, ოდესაში თუ ლენინგრადში, თამბაქოთი გაბოლილ დარბაზში ცეკვავს რამდენიმე წყვილი. სიტუაცია არატიპიურია ამერიკისათვის, სადაც რესტორანში დადიან სავახშმოდ, სასაუბროდ, და არა საცეკვაოდ.

„პატარა ოდესაში", სადაც რეკლამები ინგლისურ კი არა, რუსულ ენაზეა, ბევრი რამაა სხვანაირი, დამნაშავეთა სამყაროს განსხვავებულია. „მე ვთვლი, რომ იგი უფრო საშიშია, ვიდრე სხვა ორგანიზებული დანაშაული, რომელსაც აქამდე ვიცნობდით, — ამბობს პოლიციის ერთ-ერთი ხელმძღვანელი ჯოზეფ დილეინი ტელეკომპანია სი-ბი-ესის „კორესპონდენტთან საუბარში, რომელმაც სპეციალური გადაცემა მიუძღვნა „საბჭოთა განგსტერების" საქმიანობას ამერიკის შეერთებულ შტატებში. საუბარი ეხება მრავალ ასეულ ემიგრანტს, რომლებიც გაერთიანებული არიან ძლიერ ბანდაში. რეპორტაჟის ავტორის რიჩარდ შლესინჯერის სიტყვებით, „ეს ახალი ბოროტმოქმედნი მოხერხებულნი და კარგად ორგანიზებულნი არიან და არავითარ ძალადობას არ ერიდებიან".

საბჭოთა ემიგრაციის მაქინატორთა ჯგუფისათვის ყველაზე ხელსაყრელი ოპერაცია ბენზინის ვაჭრობა გამოდგა. სი-ბი-ესის კომენტარით იგი თავისებური „ბილეთი" იყო ორგანიზებულ დამნაშავეთა სამყაროში შესასვლელად. დაუკავშირდნენ რა მაფიის სხვა დაჯგუფებებს, მათ დაიწყეს უკანონო ვაჭრობა. მარტო ერთი წლის განმავლობაში ამ ბიზნესმა მათ 150 მილიონი დოლარი მოუტანა, ამბობს პოლიციის უფროსი ლორა ბრევეტი.

კადრში ჩანს ბანკნოტების გროვა. ფულის შოვნით შეპყრობილი „საბჭოელი მაფია" არ ერიდება ყალბი კუპიურების ბეჭდვას. ეს ბანკნოტი, რომელსაც თქვენ ხედავთ, ყალბია, — ამბობს შლესინჯერი. — ისინი ცოტ-ცოტას არ ბეჭდავენ, და თუ საქმეს დასჭირდა, 20 მილიონსაც უშვებენ".

ისინი ჯერ კიდევ არ არიან ისე ორგანიზებულნი, როგორც იტალიური მაფია, მაგრამ უკვე შეძლეს თავიანთი მოქმედების ასპარეზის ნიუ-იორკის ფარგლებს გარეთ გატანა. საბჭოთა განგსტერები, რომლებმაც „პატარა ოდესით" დაიწყეს, ახლა უკვე მაიამიში, ლოს-ანჯელესში და ტორონტოშიც (კანადა) კი მოქმედებენ.

პოლიცია განსაკუთრებით უსვამს ხაზს იმ გარემოებას, რომ „საბჭოთა განგსტერები" თაღლითობის „ექსპერტები" არიან. ამის მაგალითად მოჰყავთ ემიგრანტ მარკ გორელიკის და მისი ამფსონების თაღლითობა, როდესაც მათ მთელი რიგი კომპანიები მოატყუეს და მუქთად ჩაიგდეს ხელში დაახლოებით 200 მილიონი დოლარის საქონელი.

„საბჭოთა განგსტერებს" არ ეშინიათ ამერიკის შეერთებული შტატების სამართალდამცავი ორგანოებისა. ჩავარდნისას მათი სასჯელი გაცილებით ნაკლებია, ვიდრე საბჭოთა კავშირში მიიღებდნენ, — ამბობს პოლიციის აგენტი, ერთ-ერთი ემიგრანტი, რომლის გვარს არ ასახელებენ,— თუ საქმე ფულს ეხება, ისინი ნამდვილ ომსაც კი არ მოერიდებიან". ამ „ომმა" უკვე ბევრი იმსხვერპლა. მათ შორის ემიგრანტ დამნაშავეთა დაჯგუფების ერთ-ერთი ლიდერიც, რომელიც ტყვიით დაცხრილული იპოვეს საკუთარ „როლს-როისში" მას შემდეგ, რაც დათანხმდა გამხდარიყო პოლიციის ინფორმატორი. „საბჭოთა განგსტერები" ძალიან იოლად იმეტებენ კაცს მოსაკლავად, რაც უფრო საშიშს ხდის მათ, ვიდრე სხვა ტრადიციულ მაფიოზურ დაჯგუფებებს, ამბობენ ამერიკელები.

გია ტაბატაძე,
(საქდესის მასალების მიხედვით).

ფოტოფაქტი



ვლადივოსტოკში, მეზღვაურთა კულტურის სასახლის მიმდებარე ტერიტორიაზე გაიხსნა სკულპტურული კომპოზიცია, რომელიც მიეძღვნა საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მიერ ჩრდილოეთის ყინულოვან ოკეანეში, ბაროუს კონცხთან, ვეშაპთა გადარჩენის აქციას.

ილინოისის შტატის მკვიდრის, აქციონერ ტიმოთი დაგენის ინიციატივით, ხის მეჩუქურთმემ მინესოტის შტატიდან ჭეფრი ფებერმა მეუღლესთან ერთად შექმნა ძეგლი, რომელსაც წააწერა: მეგობრობა, რწმენა, მშვიდობა.

• • •

სურათზე ჭეფრი ფებერი თავის ქანდაკებასთან.

ფაქტი * მოვლენა * კომენტარი

ვითხოვ სიტყვას!

ყველამ თავის სამშობლოს მოუაროს

ბატონო ჰიუიტ!

მე თქვენ გამომიწვიეთ, ამიტომ გიპასუხებთ...

ან უპატრონობაა და განუკითხაობა, ანდა სტუმრისადმი ზედმეტი ქართული პატივისცემა, თორემ თქვენ რომ იქცევით, ისე რომ მე მოვიქცე, ჩავიდე ინგლისში და ვლანძღო მთელი ინგლისელი ხალხი, მისი ისტორია, — ვინ მაპატიებს? არავინ! ჰო და აქედან დავასკვნათ, — სრული განუკითხაობაა; ვისაც უნდა, თავს გვესხმის, ვისაც უნდა, მიწას გვართმევს, ვისაც უნდა გვლანძღავს და ასე შემდეგ...

თქვენ, ვინც შესანიშნავად იცოდით რომ აფხაზეთში სისხლი უნდა დაღვრილიყო, ახლა თავს იკატუნებთ და ისე ერევით ჩვენს შინაურ და ეროვნულ საქმეებში?

დიახ, თავს იკატუნებთ...

მაშ თქვენ არ იცით, შეიარაღებული აფხაზები როგორ დაესხნენ თავს მშვიდობიან ქართულ მოსახლეობას? არც უნივერსიტეტის ქართული ფილიალის დარბევის შესახებ გსმენიათ?

მაშ, თქვენ გგონიათ (როგორც ზოგიერთ აფხაზს ჰგონია), რომ ყველა ქართველი საბჭოთა ბოლშევიკი ცოდვიანი და შემცდარი იყო, ხოლო უცოდველები მხოლოდ აფხაზი ბოლშევიკებია? (ცუდ საქმეში გაქვთ ცხვირი ჩაყოფილი).

მაშ, თქვენ გგონიათ, რომ აფხაზები იცავენ საბჭოთა კავშირს საქართველოსაგან და აქედან გამომდინარე, თქვენ აფხაზებს იცავთ ქართველებისაგან?

მაშ, თქვენ ფიქრობთ, რომ აფხაზი იმისთვის იბრძვის და იმისთვის კლავს თავის მოძმე ქართველს, რომ საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან არ უნდა გასვლა, როგორც ამას ვლ. წვინარია გვიმტკიცებს? „საქართველოში გაშლილი ეროვნული მოძრაობა იქითკენაა მიმართული, რომ საქართველო გამოვიდეს სსრკ შემადგენლობიდან. ჩვენ აფხაზები, კატეგორიული წინააღმდეგი ვართ ამისა და სანამ ერთი აფხაზიც ცოცხალი იქნება, მანამ ჩვენ საბჭოთა კავშირში დარჩენისათვის ვიბრძოლებთ". ბატონო ჰიუიტ! გახსოვთ თქვენ ეს სიტყვები ოთხი აგვისტოს „ლიტერატურული საქართველოდან". ნუთუ ისეთი გულუბრყვილო ხართ, რომ ამ აშკარა ეშმაკობას ვერ ხვდებით?

ნუთუ თქვენ მართლა იმისათვის იკლავთ თავს, რომ აფხაზი საბჭოთა კავშირის რიგებში დარჩეს და საპონი არა ჰქონდეს? (საპონზე თქვენ ლაპარაკობდით ტელევიზიით, მე ამაზე ქვემოთაც მოგახსენებთ).

კარგით რა, თქვენ, ამხელა ქვეყნის შვილი (დიდი ბრიტანეთის), ამხელა გზით მოსული, რომ არა ხართ ასეთი მიამიტი?! ხოლო, თუ ისა ხართ, რაც მე მეჩვენება (და არაა სასურველი, რომ იყოთ!), მაშინ სხვა საქმეა, მაშინ თქვენ მხოლოდ ქართული ვერ გიშველით, უნდა შეისწავლოთ: ლიტვური, ესტონური, ლატვიური, მოლდავური, სომხური, ბელორუსული, უკრაინული, მოგეხსენებათ, რომ ეს ის ხალხია, ვინც დიდი ხანია, ფიქრობს თავის ეროვნულ დამოუკიდებლობაზე, ჩხუბით კი არა, ეკონომიკური ძლიერებით, სიმშვიდით, ძმობით, მეგობრობით... თქვენ ამ რესპუბლიკებში ხშირად მოგიწევთ სიარული, რათა ისინი როგორმე არ „გავიდნენ" საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან (ღმერთმანი, თქვენ გვაკლდით და სხვა მხრივ ხომ დალაგებული გვაქვს ცხოვრება).

ბატონო ჰიუიტ! თქვენ ნაღვლობთ (როგორც ტელეგადაცემიდან გამოჩნდა), რომ შეისწავლეთ ქართული ენა (ამისათვის თოთხმეტი წელი დაგიხარჯავთ), დიახაც, სანანებელია, ერთის მხრივ, მისთვის, რომ ქართველი ხალხის სალანძღავად ნასწავლი ენით, თქვენ სრულიად დაუმსახურებლად იცავთ იმ ხალხს, რომლებსაც არა თუ ქართულად, არამედ, არც თუ იშვიათად, თავის მშობლიურ ენაზე ლაპარაკიც გასჭირვებია. იქნებ, ესეც ქართველის „დამსახურებაა?" (ჩვენ რა, აფხაზური დავავიწყეთ აფხაზს და რუსული ვასწავლეთ?!).

ბატონო ჰიუიტ! მომიტევეთ, მაგრამ ხომ არ სჯობდა, დროზე და კარგად შეგესწავლათ აფხაზთა ენა, რომ შემდგომ მასწავლებლად დადგომოდით აფხაზური წარმოშობის რუს მწერლებს, რათა ისინიც დაუფლებოდნენ მშობლიურ ენას?

უნივერსიტეტი ძალიან კარგია, მაგრამ ხომ არ აჯობებდა, ხალხის შენება საძირკვლიდან დაგვეწყო, აფხაზური სკოლები გაგვეხსნა და გარუსებული პატარა აფხაზებისთვისაც გვესწავლებინა მშობლიური ენა, რათა მომავალში ზემოთ ნაგულისხმევი მწერლების გზას არ დადგომოდნენ?

ბატონო ჰიუიტ! თქვენ, ორთოდოქს მარქსისტს (თქვენი საქართველოში მოღვაწეობა ამას მაფიქრებინებს) განა გიკადრებათ ჩვენს საბჭოურ გაჭირვებასა და საპონზე ლაპარაკი?

საპონი რაში დაგჭირდათ? აბა, თავსლაფი დაგვასხით ქართველებმა... იქ, რა, ინგლისში, სადაც ბევრი სურნელოვანი საპონი გაქვთ და სადაც თავლაფდაუსხმელი და სრულიად „სუფთა" ბრძანდებით, საპონს არ ხმარობთ? (აქ მომიტევეთ, ირონიულად გამომივიდა, მაგრამ თქვენს სტილს მივბაძე).

ახლა ერთიც გამაგებინეთ, მ. ს. გორბაჩოვს ვისაგან იცავთ? ჩემგან? (დემაგოგიც ხართ?) რაში სჭირდება საბჭოთა კავშირის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს, „პერესტროიკის" ავტორს ინგლისელი აფხაზოლოგის დაცვა? ყველას თავის დაცვა ჰყავს, ბატონო ჰიუიტ! „დაჩაგრულ" აფხაზსაც ჯარი იცავს, ჩვენ ვინ გვიცავს, საკუთარი თავის ანაბარა დარჩენილ ქართველებს?

ოთხივ კუთხივ ომში ვართ (თქვენ მეხუთე კუთხიდან გვებრძვით).

ბატონო ჰიუიტ! თქვენ ინფორმირებული კაცი ხართ, თქვენ კარგად იცით რა მოხდა აფხაზეთში, ისიც კარგად იცით, ქვემო ქართლში რაც მოხდა, არ შეიძლება არ გსმენოდეთ 9 აპრილის საქართველოს სისხლიანი ტრაგედია...

მაშ, თუ კაცი საქართველოში შექმნილ დღევანდელ ვითარებას ვერა გრძნობს და ვერ აფასებს, რაში გჭირდება მისი ქართული?

თქვენ რომ რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი" ქართულად წაკითხული გქონდეთ, ან ილია ჭავჭავაძის „კაცია ადამიანი?!" (ამის წაკითხვას კი ნამდვილად გირჩევთ), არ ინანებდით ქართული ენის ცოდნას, მაგრამ რისთვისაც თქვენ იგი შეისწავლეთ, რა თქმა უნდა, სანანებელია...

და ბოლოს, ბატონო ჰიუიტ! თქვენ ფიქრობთ, რომ საქართველოს არა ჰყავს ინტელიგენცია, გეკადრებათ კი ინგლისელ „ჯენტლმენს" ამგვარი უხამსი ფიქრი და შენიშვნა?

რაც შეეხება საქართველოს გაჭირვებას, მე, თქვენგან ცინიკურად მოხსენიებული, არ ვისურვებდი ჩვენსავით გასჭირვებოდეს თქვენს სამშობლოს.

და კიდევ ბოლოს, ბატონო ჰიუიტ! მოდით შევთანხმდეთ, ყველამ თავის სამშობლოს მოუაროს!

თავი გაგვანებეთ, საქართველოს მტერი არ აკლია, ხოლო თქვენ არა ხართ საქართველოში სამოყვროდ ჩამოსული!

ჯანსუღ ჩარკვიანი.
1989 წელი, 13 აგვისტო.

„ფაზისი" — მსოფლიოს გარშემო

ფოთი. („კომუნისტის" საკ. კორ.). ოთხ წელიწადში ერთხელ ტარდება საერთაშორისო შეჯიბრება მსოფლიოს გარშემო იახტებით სრბოლაში. წლეულს იგი მეხუთედ ეწყობა. მასში პირველად მონაწილეობს სსრ კავშირის იახტმრბოლელ სპორტსმენთა ეკიპაჟი. იახტა, რომელსაც „ფაზისი" უწოდეს, დამზადდა ფოთის გემთშემკეთებელ-გემთმშენებელ ქარხანაში. ამის შესახებ „კომუნისტის" მკითხველებს მოკლედ უკვე ვამცნეთ. ახლა ზოგიერთ დამატებით ცნობას მივაწვდით.

„ფაზისის" პროექტი შეიმუშავა ლენინგრადის საკონსტრუქტორო ბიურომ, ხოლო ტექნოლოგიური სქემები დამუშავდა კიევის პატონის სახელობის ინსტიტუტის კოლექტივთან თანამშრომლობით. იახტის მშენებლობას, სპორტსმენთა წვრთნას, სხვა საჭირო ორგანიზაციულ საკითხებს გერმანულ ფირმასთან ერთად საწარმო „ფაზისი" ხელმძღვანელობს (თავმჯდომარე — ვ. ტიხოვი). იახტის აგებას მეთვალყურეობდა ამერიკის ნაოსნობის ბიურო, ხოლო თვით მშენებლობას აწარმოებდნენ ლენინგრადელი და ოდესელი ინჟინერ-სპეციალისტები. „ფაზისი" ინგლისსა და ფინეთში დამზადებული მოწყობილობა-დანადგარებითაა აღჭურვილი.

ფოთელმა გემთმშენებლებმა ჩინებულად შეასრულეს ეს საინტერესო დაკვეთა. პირველ ივლისს თავიანთი ნახელავი ზღვაში ჩაუშვეს. ამ ცერემონიალს მრავალი ადამიანი დაესწრო.

„ფაზისის" სიგრძე 25 მეტრია, სიგანე — 9 მეტრი, წყალწყვა — 16,5 ტონა, იალქნის ფართობი — 255 კვადრატული მეტრია, ანძის სიმაღლე — 30 მეტრი. ეკიპაჟი 32 წევრისგან შედგება. მათ შორის ხუთი — თ. ზოიძე, ვლ. კიტუაშვილი, გ. ბეგანიშვილი ნ. თენეიშვილი და ჯ. ცომაია საქართველოს წარმომადგენლები არიან. იახტის კაპიტანია კიეველი ა. გრიშენკო.

დედამიწის გარშემო იახტებით რბოლა „ვიტბრედის" სახელწოდებით ჩატარდება. სხვადასხვა ქვეყნის იახტსმენები 2 სექტემბერს ინგლისის ქალაქ პორტსმუტიდან აიღებენ სტარტს, მარშრუტი კი ასეთია: „ურუგვაი-ავსტრალია-ახალი ზელანდია-ურუგვაი-ამერიკის შეერთებული შტატები-ინგლისი. იახტებით სრბოლა 9 თვეს გაგრძელდება. იგი ინგლისელი მეცნიერის ტიმ სევერინის იალქნიანი ნავით „არგოთი" მოგზაურობის თავისებური გაგრძელება იქნება.

ბეგლარ ჩხაიძე.

◆



სურათზე: „ფაზისის" ჩაშვება ზღვაში.

რამინ ლვამიჩავას ფოტო.

სპორტული ამბები

ტრადიციის ძალა

გასულ კვირას მოსკოვის ოლიმპიურ ტრასაზე ჩატარდა მშვიდობის მარათონი, რომელშიც 11054 კაცი მონაწილეობდა, მათ შორის 666 უცხოელი მორბენალი. არ გაიკვირვოთ მონაწილეთა სიმრავლე, უცხოეთის ქალაქებში (ნიუ-იორკი, ჩიკაგო, ლონდონი, როტერდამი და სხვა) გამართულ ტრადიციულ გარბენებში გაცილებით მეტი ხალხი მონაწილეობს და მარათონის ორგანიზატორები შეძლებისდაგვარად ზღუდავენ მათ რიცხვს, რომ შეჯიბრება ქაოსმა არ მოიცვას, მაგრამ 20—25 ათასი კაცი მაინც ახერხებს მონაწილის ვიზის მიღებას, რისთვისაც გარკვეულ თანხას იხდის კიდეც (ნიუ-იორკის მარათონში გამოსვლისათვის ამერიკელი 20 დოლარს იხდის. უცხოელი — ორჯერ მეტს) ორგანიზაციულადაც ეს შეჯიბრებები უფრო მაღალ საფეხურზეა.

მარათონების ასეთი პოპულარობა ხალხის გამაჯანსაღებელი რბენით გატაცებით აიხსნება, თუმცა გარბენებში ბევრი შესანიშნავი სპორტსმენიც მონაწილეობს.

მოსკოვის მშვიდობის მარათონის ორგანიზატორები ცდილობენ, რომ სხვებს გაუტოლდნენ, მონაწილეთა რაოდენობით მათ გარკვეულად მიაღწიეს კიდეც მიზანს, ოღონდ სპორტულ სამყაროში ეს გარბენი ვერ გახდა პოპულარული. მდინარე მოსკოვის სანაპიროზე მოწყობილ 42,195 კილომეტრიან ტრასაზე ცნობილი უცხოელი მორბენლები კი არა, თვით ჩვენი ქვეყნის უძლიერესი სპორტსმენებიც არ გამოდიან. თანაც ძნელია ისინი ამაზე დაითანხმო, ნიუ-იორკის მარათონში გამარჯვებული, მაგალითად, მომავალი წლიდან 300 000 დოლარს მიიღებს, ჯილდოვდებიან აგრეთვე პირველ 12 ადგილზე გასული სპორტსმენებიც. მოსკოველ ინიციატორებს კი ასეთი თანხა საიდან ექნებათ?! ამიტომ გამარჯვებულის შედეგი მუდამ მოკრძალებულია. მაგალითად, კვირას გარბენში გამარჯვებულმა, მინსკელმა სერგი კოზლოვმა 2:23.07 აჩვენა. შედარებისთვის ვიტყვით, რომ საუკეთესო მორბენალი ქალები ამ დისტანციას უფრო სწრაფად ფარავენ. კოზლოვის შემდეგ ფინიშთან მივიდა ამერიკელი პაბლო კიგელი — 2:25.22. ქალთა შორის უძლიერესი აღმოჩნდა ვოლგოგრადელი ლიდია ვოლკონიტინა — 2:58.06.

სატურნირო ორბიტა

ფეხბურთი. სსრ კავშირის ჩემპიონატის ერთადერთ მატჩში, რომელიც გასულ კვირას ვილნიუსში გაიმართა, ადგილობრივმა „ჟალგირისმა" ფრედ — 1:1 — ითამაშა ხარკოვის „მეტალისტთან".

14 აგვისტოსათვის სატურნირო ცხრილში მდგომარეობა ასეთია:

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„სპარტაკი"	**21**	**13**	**7**	**1**	**40-18**	**33**
„ჟალგ".	**23**	**12**	**5**	**6**	**31-22**	**29**
„დნეპრი"	**21**	**12**	**4**	**5**	**29-20**	**28**
„ტორპედო"	21	8	9	4	22-13	25
„დონ". კ.	20	8	8	4	22-14	24
„მეტალ".	22	8	8	7	23-20	24
„დინამო" მნ.	21	9	4	8	26-22	22
„ჩერნ".	20	8	6	6	24-23	22
„დინამო" მ.	21	7	8	6	26-20	22
„როტორი"	20	6	6	8	18-21	18
„პამირი"	21	6	6	9	16-26	18
„არარატი"	21	6	4	11	18-30	16
„დინ." თბ.	20	4	8	8	16-21	16
„შახტ".	21	6	3	12	15-23	15
„ზენიტი"	**22**	**3**	**7**	**12**	**14-36**	**13**
„ლოკომ".	**21**	**3**	**5**	**13**	**10-26**	**11**

კიევში დაიწყო საერთაშორისო ტურნირი, სადაც ორგანიზატორებს — კიეველ დინამოელებს, მეტოქეობას გაუწევენ იტალიის „რომა" და ბრაზილიის კლუბები — „ფლუმინენსე" და „ბანგუ". პირველ მატჩში „ფლუმინენსემ" დაამარცხა „რომა" ანგარიშით 1:0 (0:0). 56-ე წუთზე ბურთი გაიტანა მარკო ენრიკემ.

ჭადრაკი. მსოფლიო თასის მეექვსე, დასკვნითი ეტაპის გათამაშებაში, რომელიც შვეციის ქალაქ შელეფტეოში მიმდინარეობს, მსოფლიოს ჩემპიონმა გარი კასპაროვმა პირველ ტურში დაამარცხა ვიქტორ კორჩნოი (შვეიცარია).

სხვა შეხვედრებში იან ელვესტმა სძლია რაფაელ ვაჰანიანს, ვიქტორ სალოვმა — პრედრაგ ნიკოლიჩის (იუგოსლავია), ნაიჯელ შორტმა (დიდი ბრიტანეთი) — მიხეილ ტალს, ლაიოშ პორტიშმა — ზოლტან რიბლის (ორივე უნგრეთი); ყაიმით დამთავრდა დიულა საქსის (უნგრეთი) და ანატოლი კარპოვის, აგრეთვე ჯონ ნანის (დიდი ბრიტანეთი) და იასერ სეირავანის (აშშ) შეხვედრები, ხოლო ულფ ანდერსონისა (შვეცია) და რობერტ ჰიუბნერის (გფრ) პარტია გადაიდო.

ჩოგბურთი. „ვირჯინია სლიმზის" სერიაში შემავალი შეჯიბრის ფინალში, რომელიც ლოს-ანჯელესში მიმდინარეობს, ერთმანეთს შეხვდებიან მარტინა ნავრატილოვა (აშშ) და გაბრიელა საბატინი (არგენტინა). ნახევარფინალში ნავრატილოვამ დაამარცხა თავისი თანამემამულე ზინა გარისონი ანგარიშით 6:1, 6:4; ხოლო საბატინიმ სძლია ამერიკელ პემ შრაივერს — 6:4, 6:2.

წარსულიდან

„მოკლე მოთხრობა" გვაუწყებს

ადამიანის ოდინდელი ოცნება — ცაში აფრენილიყო — პირველად განხორციელდა XVIII საუკუნის დამლევს. ამას ხელი შეუწყო ძმების ჟოზეფ და ეტიენ მონგოლფიეებისა და ფიზიკოს შარლის სენსაციურმა ექსპერიმენტებმა.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში ჩვენ მივაკვლიეთ მეფე ერეკლე მეორის სახელზე გამოგზავნილ უაღრესად საინტერესო წერილს „მოკლე მოთხრობა" (18 გვერდი). წერილს თან ახლავს შესანიშნავად შესრულებული ნახატი — ორი საჰაერო ბურთი ქართული წარწერებით. წერილი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საკმაოდ ვრცელია და ცალკე განხილვის საგანია. წერილის ნაწილი დაწერილია ახალი ქართულით, ნაწილი კი ხუცურით. შინაარსიდან ირკვევა, რომ მეფე ერეკლე მეორეს ევროპაში სამოგზაუროდ, თუ სხვა რაიმე მისიით გაუგზავნია ვინმე დავითი და რამდენიმე კაცი. მეფის ამალა 1783 წელს საფრანგეთში ჩასულა და ქალაქ ლიონის მახლობლად პატარა ქალაქ ანონაში დასწრებია ძმები მონგოლფიეების საჰაერო ბურთით გაფრენას. ეს ბურთი 22.000 კუბური ფუტი მოცულობის ყოფილა. საფრანგეთის სამეფო აკადემიამ ძმები პარიზში მიიწვია საჰაერო გაფრენის გასამეორებლად. 5 ივნისს პარიზში მონგოლფიეები და ფიზიკოსი შარლი თითქმის ერთდროულად აიჭრნენ ჰაერში. მონგოლფიეების საჰაერო ბურთი ავსებული იყო თბილი ჰაერით, შარლისა კი წყალბადით. ამ მეორე ისტორიულ საჰაერო გაფრენასაც ესწრებოდნენ საქართველოდან წარგზავნილები.

დავითი, რომლის გვარიც სამწუხაროდ არაა ცნობილი, როგორც ირკვევა, იმ მოღვაწეთა რიცხვს ეკუთვნოდა, ვინც სხვადასხვა დავალებით, ან სავაჭრო საქმეებზე თავისი ამალით ხშირად დადიოდა საქართველოდან რუსეთში, საფრანგეთში, იტალიაში, თურქეთში და სხვაგან. მოგზაურობისას დავითი ეცნობოდა და ინიშნავდა ყოველივე საინტერესოს, რასაც შეეძლო სარგებლობა მოეტანა მისი სამშობლოსათვის და საქართველოში, მეფე ერეკლე მეორის კარზე ჩამოჰქონდა საინტერესო უცხოეთის ამბები.

უაღრესად განათლებულმა, ომებით გაწამებულ მეფე ერეკლეს ურჩია საჰაერო ბურთები სამხედრო მიზნებისათვის გამოეყენებინა საქართველოს მტრების, მაჰმადიანური სამყაროს წინააღმდეგ. დავითმა მეფეს აუწყა აგრეთვე, გამთბარ ჰაერს და წყალბადს, თურმე, შესძლებია ადამიანი ღმერთების საბრძანებელში ასტყორცნოსო.

ამ 18-გვერდიანი დღემდე უცნობი ისტორიული წერილის სათაურიდან და შინაარსიდანაც ირკვევა, რომ ვინმე დავითს მეფე ერეკლე მეორისათვის „გრძელი" მოთხრობებიც გამოუგზავნია; სამწუხაროდ, მათი კვალი გამქრალია. თუ დროთა განმავლობაში მივაგნებთ ამ დაკარგულ წერილებს, მაშინ შეიძლება დადგინდეს „მოკლე მოთხრობის" ავტორის გვარიც.

მერი როდე-ჩიჯავაძე,
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი.

◆



სურათზე: წერილს დართული ნახატი — საჰაერო ბურთები ქართული წარწერით.

„კომუნისტის" ფოტოკონკურსი

— გმადლობ, რომ გვასახელე!

ზურაბ დათუაშვილის ფოტო.

კონტაქტები

„იამასიროგუმი" კვლავ გვეწვია

ტოკიოს ფოლკლორული ანსამბლი „იამასიროგუმი" მისი ხელმძღვანელის სიოძი იამასიროს მეთაურობით კვლავ საქართველოს სტუმარია. ათი დღის განმავლობაში ამ სტუდენტური თვითმოქმედი კოლექტივის წევრები ეწვევიან გორს, თელავს, შეხვდებიან მშრომელებს, ზუგდიდის, მესტიის, ოზურგეთის მომღერალთა გუნდებს. 19 აგვისტოს თავიანთ ხელოვნებას გააცნობენ თბილისელებს რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრის მცირე დარბაზში.

— საქართველოში ჩამოსვლის მთავარი მიზანი მარტო ის კი არ არის, რომ გავაცნოთ მსმენელებს ჩვენი საშემსრულებლო ხელოვნება, არამედ ისიც, რომ ხელი შევუწყოთ ჩვენი ქვეყნების კულტურული კონტაქტების გაფართოებას, — თქვა სიოძი იამასირომ. ჩვენი ანსამბლის წევრებს სამართლიანად მიაჩნიათ, რომ ქართული კულტურის სრულუფლებიანი წარმომადგენლები არიან იაპონიაში. 20 წლის წინათ პირველად მოვისმინე ქართული ხალხური სიმღერები და მას შემდეგ ვეღარ დავშორდი მათ. ქართული ხალხური სიმღერა მსოფლიო კულტურის ბრწყინვალე ნიმუშია. ჩვენი ქვეყნები შორს არიან ერთმანეთისაგან, მაგრამ სულიერად ბევრი რამ აქვთ საერთო, და თქვენი სიმღერები ამ საქმეში დიდ როლს ასრულებენ. საქართველო სიძველის, ძველი კულტურის შენარჩუნების შესანიშნავ მაგალითს იძლევა. ჩვენ ბევრი რამ ავითვისეთ თქვენი გამოცდილებიდან. ჩემი ახალგაზრდა კოლეგები დიდი ინტერესით და გატაცებით სწავლობენ ქართულ მუსიკალურ კულტურას და ჩვენ ყველა ერთად ვემსახურებით კეთილშობილურ საქმეს, რომლის ნაყოფია ხალხთა მეგობრობის განმტკიცება.

(საქინფორმი).

სუსხიანი სტრიქონები

ლომბარდი — სკოლაში, სკოლა — ფაბრიკაში?

როცა გეტყვიან, ბინიდან გამოდი, სხვისთვის გვჭირდება, შენ, აგერ, სხვაში შებრძანდიო, ბუნებრივია, გული აგიფანცქალდება უკეთესის მოლოდინში. თბილისის კალინინის რაიონის სასკოლათაშორისო შრომითი სასწავლო კომბინატის დირექტორს ამირან დარჩიასაც პირველად ასე დაემართა, მაგრამ მერე გულის აფანცქალება გულის ფრიალად შეეცვალა...

საქმე ასეა: ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებით განზრახულია კეცხოველის ქუჩაზე მდებარე უძველესი ლომბარდის შენობის გამოთავისუფლება და ფიროსმანის ნამუშევრების მუდმივმოქმედი ექსპოზიციისათვის გადაცემა. ერთობ მოსაწონი და მისასალმებელი აზრია! საქართველოს ხელოვნებისა და ს. ჯანაშიას სახელობის მუზეუმებს კიდევ ერთი ამა შეემატება და დედაქალაქის ცენტრში მთელი სამუზეუმო კომპლექსი შეიქმნება.

დღის წესრიგში დგება ლომბარდის სხვაგან გადატანა. გადაწყდა მისი კოჯრის ქ. № 1 მდებარე კალინინის რაიონის სასკოლათაშორისო შრომითი სასწავლო-საწარმოო კომბინატის შენობაში მოთავსება, ამ უკანასკნელისა კი გმირთა მოედანთან — აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების ყოფილ ადმინისტრაციულ კორპუსში.

კარგა ხანია, რაც ჩვენს ქვეყანაში მოსწავლეთა შრომითი სწავლებისა და პროფორიენტაციის სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო კომბინატები მოქმედებს, როგორც ახალგაზრდობის პოლიტექნიკურ საფუძველზე დამყარებული შრომითი, პროფესიული სწავლების, საზოგადოებრივად სასარგებლო მწარმოებლური შრომის ორგანიზაციის ნაცადი საშუალება. აქ ყმაწვილები სპეციალური კურსის გავლის შემდეგ გამოცდებს აბარებენ და დაწყებითი საკვალიფიკაციო თანრიგი ენიჭებათ. თბილისში სულ 5 სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო კომბინატი მოქმედებს. ეს ასე, ცნობისათვის, მკითხველისათვის შესახსენებლად.

კალინინის რაიონის სასწავლო-საწარმოო კომბინატი 1979 წელს შეიქმნა. იგი 6 საშუალო სკოლის VIII-XI-კლასელთა შრომით სწავლებასა და მწარმოებლურ შრომას ემსახურება. წლეულს მისი კონტინგენტი 470 გოგონასა და ვაჟს მოითვლიდა. საბაზო ორგანიზაციებად მიმაგრებული ჰყავს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა, აბრეშუმის საწარმოო გაერთიანება, თბილტელეგრაფი, მხატვართა ფონდის საწარმოო კომბინატი, უნივერმაღი „თბილისი", მოდების ატელიე № 5 და ბოტანიკური ბაღი. მათ იქ შექმნილი აქვთ საწარმოო უბნები, სადაც მოსწავლეები სხვადასხვა დასახელების ათასობით მანეთის ფართო მოხმარების საქონელს ქმნიან, ახალგაზრდებს შრომისა და საზოგადოებრივი საკუთრებისადმი შეგნებული დამოკიდებულება უყალიბდებათ.

ეს კომბინატი სამსართულიან, ყოფილ სასკოლო შენობაში მდებარეობს, რომლის სასარგებლო ფართიც 2400 კვადრატული მეტრია. წლების მანძილზე გამართულად მუშაობს თეორიული სწავლების 6 კაბინეტი, სათანადოდ აღჭურვილი სამკერვალო და არქიტექტურული დეტალების ყალიბებში ჩამოსხმის უბნები, ახლა მონტაჟდება წიგნის საამკინძაო საამქრო (უკვე შემოტანილია 9 დასახელების მანქანა-დანადგარი). იქვეა პროფორიენტაციის კლუბ-კაბინეტი, 70-ადგილიანი ბუფეტი, მედპუნქტი, მოსწავლეთა საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები...

ასე წვრილად იმიტომ მოგახსენებთ, რომ ამ პროფილის სასწავლო-აღმზრდელობით დაწესებულებას თავისი სპეციფიკა აქვს, ყოველი კაბინეტი თუ საამქრო სანიტარიული ნორმების გათვალისწინებით ეწყობა, რადგან მოსწავლეებთან — მოზარდებთან გვაქვს საქმე და ყველაფერს საგულდაგულოდ უნდა აწონ-გაზომვა.

ამჯერად კი ასე არ მოხდა. რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს განკარგულებით, როგორც ვთქვით, სასწავლო კომბინატის შენობა იჯარით გადაეცა ლომბარდს, კომბინატს კი აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების ყოფილ ადმინისტრაციულ შენობაში, ასევე იჯარით, გამოეყო... 400 კვადრატული მეტრი ფართობი. ეს განკარგულება მეხივით დაატყდა ერთ ობიექტსაც და მეორესაც.

სასწავლო კომბინატის მუშაკებმა უნდა დატოვონ საკუთარი, ყოველმხრივ მოწყობილი და გათავისებული ბინა და იჯარით მიიღონ განუზომლად მცირე, მოუხერხებელი ფართობი შენობაში, სადაც დღესაც მუშაობს საქსოვი საამქრო, ტრიალებს ნედლეულის მასალის ჭარბი სუნი და იქაც საშვით თუ შეხვალ. რაიონის სანეპიდსადგურის დასკვნით, იქ მომუშავე დაზგების ხმაური და ვიბრაცია უარყოფითად იმოქმედებს ბავშვების ჯანმრთელობაზე, რაღა თქმა უნდა, სასწავლო პროცესზეც.

არც ლომბარდს აძლევს ხელს ასეთი ახალმოსახლეობა. იგი, მოგეხსენებათ, სპეციფიკური დაწესებულებაა, საგანგებო სათავსები სჭირდება, ჩვენი ლომბარდი 1888 წელს აშენდა და მას შემდეგ სულ ამ საქმეს ემსახურება. აქ 100 ათასი ერთეული გირაო ინახება, რომელთა ღირებულება ასობით მილიონი მანეთია. სასკოლო შენობის კაპიტალური შეკეთება და ადაპტირება რთული და შრომატევადი საქმეა, სანამ ყველა სამუშაო დამში არ მოვა, ლომბარდი ადგილს ვერ მოინაცვლებს, არადა, განმკარგულებელი ინსტანცია მის სწრაფ ადგილმონაცვლეობას ითხოვს.

კვლავ ვიმეორებთ: რა თქმა უნდა, ფიროსმანის ნახატთა მუდმივმოქმედი ექსპოზიციისათვის ლომბარდის შენობის გამოთავისუფლება მშვენიერი გადაწყვეტილებაა, მაგრამ ერთი კარგი საქმით, მეორე რატომ უნდა გაფუჭდეს? რა აუცილებელია ერთბაშად ორ დაწესებულებას მოვუნაცვლოთ ადგილი და ორივე გავანაწყენოთ. განა უპრიანი არ იქნება, კომბინატი ადგილზე დარჩეს, ლომბარდს კი სხვა, მისთვის უფრო მოხერხებული შენობა გამოვუნახოთ, თანაც, აუცილებელი სულაც არ არის, მაინცდამაინც კალინინის რაიონში! ამაზე, ალბათ, ღირს დაფიქრება.

ერთიც ირკვევა: სახალხო განათლების სამინისტროს, რატომღაც, თანხმობა აქვს მიცემული საკუთარი შენობის გასხვისებაზე, მაგრამ როცა ასეთი ამბავი წყდება, იქნებ ღირს მათი აზრიც მოვისმინოთ ხოლმე, ვისაც ეს უშუალოდ ეხება, დემოკრატიისა და საჯაროობის დღევანდელ ვითარებაში!

ალეკო ასლანიშვილი.

თანამშრომლობა

▲

მეგობრობის დალოცვა

გულში ჩამწვდომი ქართული მელოდიები, ცეცხლოვანი ცეკვები მიუძღვნეს საჩუქრად სომეხ მეგობრებს ხალხურმა ანსამბლმა „არაგველებმა" და ბავშვთა ქორეოგრაფიულმა კოლექტივმა „სხივმა". ისინი გამოვიდნენ ქალაქების კალინინოსა და მარალიკის, ახურიანის რაიონის მთელი რიგი დასახლებული პუნქტების მშენებლების წინაშე, რომელთა შორის ქვეყნის სხვა ხალხების წარმომადგენლებთან ერთად თავდადებით შრომობენ საქართველოს წარგზავნილები, ეხმარებიან თავიანთ ძმებს მიწისძვრის შედეგად დანგრეული ქალაქებისა და სოფლების აღდგენაში. საქართველოს კულტურის სამინისტრო აქ ახორციელებს სომხეთის სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებული რაიონების კულტურული მომსახურების გეგმას.

კონცერტები იმართებოდა ხალხით სავსე დარბაზებში. ერევანში კი იგი ცენტრალურ მოედანზე გაიმართა. რამდენიმე ათასი ერევნელი ცრემლმორეული, მადლიერი ტაშით აცილებდა „არაგველების" სოლისტებს, რომლებმაც შეასრულეს ცეკვა „ფრესკა" სანთლებით. ცეკვა, ხსოვნის სანთლების სიმბოლოდ რომ იქცა, მაყურებელმა აღიქვა როგორც ქართველი და სომეხი ხალხების მეგობრობის დალოცვა. (საქინფორმი).

ამინდი

დღეს დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ხანმოკლე წვიმა, ჭექა-ქუხილი, სუსტი ქარი, ტემპერატურა — ბარსა და მთაში 27-32, ზღვისპირეთში 25-30, მაღალმთიანეთში 20-25 გრადუსი.

აღმოსავლეთ საქართველოში — ცვალებადი მოღრუბლულობა, ზოგან ხანმოკლე წვიმა, ჭექა-ქუხილი, შესაძლებელია სეტყვა, დასავლეთის ქარი 9-14 მეტრი წამში, ტემპერატურა — ბარში 30-35, მთაში 27-32, მაღალმთიანეთში 20-23 გრადუსი.

თბილისში: ღამით ხანმოკლე წვიმა, ჭექა-ქუხილი, ჩრდილო-დასავლეთის ქარი 9-14 მეტრი წამში, ტემპერატურა — 33-35 გრადუსი.

რედაქტორის მოადგილე
მ. უგრეხელიძე.

ტელევიზია—სამშაბათი, 15 აგვისტო

თბილისი

პირველი პროგრამა. 13.05 — ნაშუადღევს. 13.55 — ათლეტიზმი. 15.50 — საინფორმაციო გამოშვება. 16.00 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „საყვარელი ქალის პორტრეტი". 16.40 — მოსწავლეთა ზაფხულის არდადეგების გამო. სატელევიზიო კინოდარბაზი „ცისკარა". მხატვრული ფილმი „ვაშა, არდადეგებია!". 17.50 — მულტიპლიკაციური ფილმები. 18.35 — გზებსა და გზაჯვარედინებზე. 19.05 — ახალგაზრდობისათვის. სტუდენტურ მერიდიანზე. 19.45 — ძილისპირული. 20.00 — მოამბე. 20.40 — საქართველოს სპორტული სუვერენიტეტისათვის. 22.00 — „ვრემია". 22.40 — კონცერტი. 23.15 — ქართული მხატვრული ფილმი „საფეხური".

მეორე პროგრამა. 16.05 — ცენტრალური ტელევიზიის გაცვლითი ფონდიდან. დოკუმენტური ფილმების პროგრამა. 17.05 — მხატვრული ფილმი „სამი ბლენძი". 18.35 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 19.00 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „საიდუმლოებათა საიდუმლოება". 20.00 — მოამბე. 20.40 — ქართული მხატვრული ფილმი „ქართველები ცაში". 21.45 — დოკუმენტური ფილმი. 22.00 — „ვრემია".

მოსკოვი

პირველი პროგრამა. 7.30 — „120 წუთი". 9.35 — მულტფილმი. 10.05 — მხატვრული ტელეფილმი „რვაფეხა-2". III სერია. 11.05 — ფოლკლორული ანსამბლის „ერირეის" კონცერტი. 11.35 — დოკუმენტური ფილმი. 11.55 — ა. ს. პუშკინის პოემა „პოლტავა". 13.10 — „ეს იყო... იყო...". 13.30 — დოკუმენტური ფილმი — „ოულუ-ოდესის მეგობრობისათვის". 16.35 — უკრავს ვარშავის ეროვნული ფილარმონიის სიმფონიური ორკესტრი. 17.10 — დოკუმენტური ტელეფილმი „ცხელი წერტილის დირექტორი". 18.00 — „გუნდი პლუს ჩვენ". 18.50 — მულტფილმი. 19.00 — მეცნიერება: თეორია, ექსპერიმენტი, პრაქტიკა. 19.40 — დღეს მსოფლიოში. 19.55 — ინდოეთის ეროვნული დღესასწაულის გამო. კინოპროგრამა. 20.55 — „უტსავი — მშვენიერი ინდოეთის სტუმარი". 22.00 — „ვრემია". 22.40 — მხატვრული ტელეფილმი „რვაფეხა-2". III სერია. 23.40 — დღეს მსოფლიოში. 23.55 — „სატელევიზიო ნაცნობობა". სსრკ სახალხო არტისტი, დირიჟორი ერიჰ კლასი. ესტონური ტელევიზია.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი. 9.45 — მღერის ვალერი კოსტინი. 10.15 და 13.30 — ფრანგული ენა. 10.45 — ოსკარ უაილდი. „ერთგული მეგობარი". 11.15 — ჩემპიონთა რჩევა-დარიგება დამწყებ სპორტსმენებს. 12.00; 14.00 და 18.00 — ახალი ამბები. 12.10 — მხატვრული ტელეფილმი „ოთხი ტანკისტი და ძაღლი". XI სერია. 13.10 — დოკუმენტური ფილმი. 14.40 — ა. რემეზი. „გზა". ფილმ-სპექტაკლი. 16.05 — დოკუმენტური ფილმი „ანტონ მაკარენკო, მასწავლებელი". 18.10 — მოკავშირე რესპუბლიკების სტუდიათა ფილმები. „მისი შვებულება". 20.00 — დოკუმენტური ტელეფილმი „სამშობლოს ფრთები". 21.00 — „ძილი ნებისა, პატარებო!". 21.15 — „დროის და საკუთარი თავის შესახებ". ა. პროკოფიევი. 21.30 — წყალხტომა. 22.00 — „ვრემია". 22.40 — დოკუმენტური ტელეფილმი. „ამბავი გლეხთა სახალხო კომისრისა". 23.30 — ყაზახეთის სსრ სახტელერადიო. 0.20 — ცურვა. 0.40 — ახალი ამბები.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 68434 უე — 00381 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14, იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსი, ხოშარაულის ქ. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14